

სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „მაიკრო ფინი“
ფინანსური ანგარიშგება და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2020 წლის 31 დეკემბერი

სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „მაიკრო ფინი“
სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	1-3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
სრული შემოსავლის ანგარიშგება	5
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	6
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	7
განმარტებითი შენიშვნები	8
დასკვნის ბოლო გვერდი	28

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „მაიკრო ფინი“-ის მფლობელებს და ხელმძღვანელობას:

ფინანსური ანგარიშგების დასკვნა

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „მაიკრო ფინი“-ს (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, ამავე თარიღში დამთავრებული წლის სრული შემოსავლების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, რომელთა შორისაა ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის „მოდIFIცირებული მოსაზრების საფუძველი“-ს ნაწილში აღწერილი საკითხების შესაძლო გავლენის გარდა თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის შედეგებს და ფულადი სახსრების მოძრაობას აღნიშნულ თარიღში დასრულებული წლისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

კომპანიამ საექვო ვალების ანარიცხების დათვლისას იხელმძღვანელა ეროვნული ბანკის რეგულაციის მიხედვით და არ აქვს გათვალისწინებული ფასს 9 სტანდარტის გაუფასურების სახელმძღვანელო, რის მიხედვითაც, გაუფასურების ზარალის რეზერვები უნდა ეფუძნებოდეს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღრიცხვის მოდელს და არა დამდგარი ზარალის აღრიცხვის მოდელს. შესაბამისად, ჩვენ ვერ დავადგინეთ კორექტირების საჭიროება გაცემული წმინდა სესხების ნაშთებსა და სესხის შესაძლო დანაკარგის რეზერვის ხარჯთან მიმართებაში მიმდინარე და შესადარისი პერიოდებისთვის.

ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISA) შესაბამისად. ჩვენი ვალდებულებები აღნიშნული სტანდარტების მიხედვით, უფრო დეტალურად აღწერილია ჩვენი ანგარიშის ფინანსური ანგარიშგებების განყოფილებაში დასახელებით - აუდიტორის ვალდებულებები ფინანსური ანგარიშგებების აუდიტისთვის. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებელი პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდის (IESBA Code) ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს და საქართველოში არსებულ ჩვენს აუდიტთან დაკავშირებული ეთიკის მოთხოვნების შესაბამისად და აღნიშნული მოთხოვნების (და IESBA კოდის) შესაბამისად ვასრულებთ ჩვენ ეთიკურ მოვალეობებს. ჩვენი აზრით, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულება შესაბამისია და საკმარის საფუძველს იძლევა ჩვენი მოსაზრების წარმოსადგენად.

მიშენელოვანი გარემოებები

როგორც ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნების 21-ე პუნქტშია აღწერილი, გათვალისწინებით მსოფლიოში არსებული „კოვიდ19“-ის პანდემიასთან დაკავშირებული შექმნილი სიტუაციისა, ჩვენ მნიშვნელოვნად ვთვლით გაცნობით რომ მიუხედავად იმისა, რომ კომპანიის ბიზნეს-საქმიანობა მიმდინარე პერიოდში არის ნულოვან მოგებაზე, იგი არ დგას ფუნქციონირებადობის რისკის წინაშე. აღნიშნული გამომდინარეობს, კომპანიის ხელმძღვანელობის განზრახვიდან და საჭიროების შემთხვევაში კომპანიის შესაძლებლობიდან განახორციელოს წვდომა

როგორც კუთვნილ, აგრეთვე ადგილობრივ ფინანსურ რესურსებზე. ზემოთ თქმულიდან გამომდინარე ანგარიშის პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

მენეჯმენტის და ფინანსური ანგარიშების მართვაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობები

მენეჯმენტი პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშების მომზადებასა და სამართლიან წარმოდგენაზე ფინანსური ანგარიშების საერთაშორისო სტანდარტების და იმ შიდა კონტროლის შესაბამისად, რასაც მენეჯმენტი ჩათვლის საჭიროდ ფინანსური ანგარიშების მატერიალური შეცდომების გარეშე მოსამზადებლად, იქნება ეს განზრახ თუ უნებლიედ გამოწვეული.

ფინანსური ანგარიშების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასა და ანგარიშების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტის პასუხისმგებლობები ფინანსური ანგარიშების აუდიტისთვის

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშები მთლიანად თავისუფალია უნებლიე თუ განზრახ დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან, და გავცეთ აუდიტის დასკვნა, სადაც მოცემულია ჩვენი მოსაზრება. გონივრული მტკიცებულება არის მტკიცებულების მაღალი დონე, მაგრამ არ არის გარანტია, რომ ISA-ს შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის აღმოაჩენს არსებით ცდომილებას, ასეთის არსებობის დროს. ცდომილება შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის გამო და მიიჩნევა არსებითად, თუკი მოსალოდნელია, რომ ერთობლივად ან ცალკე-ცალკე, გავლენას იქონიებს მომხმარებელთა მიერ აღნიშნულ ფინანსურ ანგარიშებზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე.

როგორც აუდიტის ნაწილი ISA-სთან შესაბამისად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიონალურ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიონალურ სკეპტიციზმს აუდიტის განმავლობაში. ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსური ანგარიშების განზრახ ან უნებლიედ დაშვებული არსებითი ცდომილების რისკებს, აღნიშნული რისკების საპასუხოდ შევიმუშავეთ და ვასრულებთ აუდიტის პროცედურებს და მოვიპოვებთ ჩვენი მოსაზრებისათვის საკმარისი საფუძველის და
- შესაბამის აუდიტის მტკიცებულებას. თაღლითობისგან წარმოშობილი არსებითი ცდომილების ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომის შედეგად წარმოშობილი არსებითი ცდომილებისა, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, არასწორ ინტერპრეტაციას ან შიდა კონტროლის მექანიზმების დარღვევას/უარყოფას;
- გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისობა და სააღრიცხვო შეფასებების და მენეჯმენტის მიერ მათთან დაკავშირებული განმარტებითი შენიშვნების გონივრულობის შეფასება.
- სააღრიცხვო მიზნებისათვის მენეჯმენტის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენების შესაბამისობის შეფასება და მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულების საფუძველზე, აზრის გამოთქმა არსებობს თუ არა მნიშვნელოვანი უზუსტობა იმ მოვლენებსა და

პირობებთან დაკავშირებით, რომლებმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ექვსი ქვეშ დააყენოს კომპანიის ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსი.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგებების ზოგად წარმოდგენას, სტრუქტურას და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით. თუ რამდენად სამართლიანად ასახავს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები იმ ტრანზაქციებს და მოვლენებს, რომლის საფუძველზეც მოხდა მათი მომზადება.

სხვა საკითხების განხილვა მენეჯმენტთან არ მომხდარა.

ჩვენ ასევე მივაწოდეთ მენეჯმენტს განცხადება, რომ ვაკმაყოფილებთ შესაბამის ეთიკურ მოთხოვნებს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით და მივაწოდეთ ინფორმაცია ყველა კავშირზე და საკითხზე, რაც შესაძლოა ჩაითვალოს ჩვენი დამოუკიდებლობის საკითხისთვის მნიშვნელოვნად.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულება შესაბამისია და საკმარის საფუძველს იძლევა აუდიტის მოდიფიცირებული მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად.

აუდიტის შემოწმების ხელმძღვანელი, რომელმაც შეადგინა წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა არის დავით გვეტაძე.

სს ფი-ქეი-ეფ კაიზენი

29 აპრილი, 2021

თბილისი, საქართველო

პირობებთან დაკავშირებით, რომლებმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიის ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსი.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგებების ზოგად წარმოდგენას, სტრუქტურას და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით. თუ რამდენად სამართლიანად ასახავს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები იმ ტრანზაქციებს და მოვლენებს, რომლის საფუძველზეც მოხდა მათი მომზადება.

სხვა საკითხების განხილვა მენეჯმენტთან არ მომხდარა.

ჩვენ ასევე მივაწოდეთ მენეჯმენტს განცხადება, რომ ვაკმაყოფილებთ შესაბამის ეთიკურ მოთხოვნებს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით და მივაწოდეთ ინფორმაცია ყველა კავშირზე და საკითხზე, რაც შესაძლოა ჩაითვალოს ჩვენი დამოუკიდებლობის საკითხისთვის მნიშვნელოვნად.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულება შესაბამისია და საკმარის საფუძველს იძლევა აუდიტის მოდიფიცირებული მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად.

აუდიტის შემოწმების ხელმძღვანელი, რომელმაც შეადგინა წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა არის დავით გვეტაძე.

სს ფი-ქეი-ეფ კაიზენი
29 აპრილი, 2021
თბილისი, საქართველო



სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „მაიკრო ფინი“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თანხები მოცემულია ლარში

შენიშვნები	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	7,176	10,732
არამატერიალური აქტივები	9,208	10,833
სულ გრძელვადიანი აქტივები	16,383	21,565
მიმდინარე აქტივები		
გადავადებული საგადასახადო აქტივები	-	-
წმინდა გაცემული სესხები	6 2,675,056	2,836,928
ფული და ფულის ექვივალენტები	5 231,610	114,334
სხვა აქტივები	7 40,168	86,876
სულ მიმდინარე აქტივები	2,946,834	3,038,138
სულ აქტივები	2,963,218	3,059,703
კაპიტალი		
სააქციო კაპიტალი	8 1,040,000	1,040,000
გაუნაწილებელი მოგება/(დაგროვილი ზარალი)	-	3,433
აქტივების გადაფასების რეზერვი	-	-
სულ კაპიტალი	1,040,000	1,043,433
ვალდებულებები		
მიმდინარე ვალდებულებები		
სესხები დაკავშირებული მხარისგან	9 1,896,628	1,990,753
გადასახდელი გადასახადები	3,351	-
სხვა ვალდებულებები	23,239	25,517
სულ მიმდინარე ვალდებულებები	1,923,218	2,016,270
სულ ვალდებულებები	1,923,218	2,016,270
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	2,963,218	3,059,703

ხელმოწერილი პირები:

აღმასრულებელი დირექტორი

29 აპრილი, 2021
თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 8-28 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „მაიკრო ფინი“
 სრული შემოსავლების ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 თანხები მოცემულია ლარში

	შენიშვნები	2020	2019
საპროცენტო შემოსავალი	10	1,004,996	1,027,777
მოსაკრებელი და საკომისიო შემოსავალი		714	1,581
სხვა შემოსავალი		7,516	
საპროცენტო ხარჯი	11	(375,160)	(424,175)
საერთო მოგება		638,067	605,183
საერთო ადმინისტრაციული ხარჯები	12	(235,861)	(279,453)
მიღებული ჯარიმები და საურავები		18,684	32,303
სესხის გაუფასურების ანარიცხი, წმინდა	6	(126,263)	(68,539)
ხელფასები და ბონუსები	13	(291,873)	(276,398)
საოპერაციო მოგება		2,754	13,096
მოგება დაბეგვრამდე		2,754	13,096
მოგების გადასახადის სარგებელი /(ხარჯი)		(6,188)	(6,888)
წლის წმინდა მოგება/(ზარალი)		(3,433)	6,208

ხელმოწერი პირები:

აღმასრულებელი დირექტორი

29 აპრილი, 2021
 თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 8-28 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „მაიკრო ფინი“
 კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 თანხები მოცემულია ლარში

შენიშვნები	სააქციო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
31 დეკემბერი, 2016	250,000	(161,245)	88,755
წლის მოგება	-	64,134	64,134
31 დეკემბერი, 2017	250,000	(97,111)	152,889
წლის მოგება	290,000	94,336	384,336
31 დეკემბერი, 2018	540,000	(2,775)	537,225
წლის მოგება	500,000	6,208	506,208
31 დეკემბერი, 2019	1,040,000	3,433	1,043,433
წლის მოგება	-	(3,433)	(3,433)
31 დეკემბერი, 2020	1,040,000	0	1,040,000

ხელმომწერი პირები:

აღმასრულებელი დირექტორი

29 აპრილი, 2021
 თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 8-28 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „მაიკრო ფინი“
 ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერი
 თანხები მოცემულია ლარში

	2020	2019
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე	2,754	13,096
ცვეთა და ამორტიზაცია	5,622	8,425
სესხის გაუფასურების ანარიცხის ცვლილება	126,263	68,539
მოგება-ზარალში აღიარებული მოგების გადასახადის ხარჯი/სარგებელი	(6,188)	(6,888)
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან კაპიტალში ცვლილებებამდე		
ზრდა/(შემცირება) კლიენტებზე გაცემულ სესხებში	35,608	12,292
(ზრდა)/შემცირება სხვა აქტივებში	46,708	(63,462)
ზრდა დარიცხულ/(შემცირება) საპროცენტო ხარჯში	-	-
(ზრდა)/შემცირება სხვა ვალდებულებებში	(2,278)	(4,831)
(შემცირება)/ზრდა გადასახდელ გადასახადებში	3,351	(10,569)
წმინდა ფულის შემოსვლა/(გასვლა) საოპერაციო საქმიანობიდან	211,842	16,602
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების შეძენა	(440)	(3,399)
ჩვეულებრივი და პრივილეგირებული აქციებით მიღებული თანხები		500,000
წმინდა ფული (გამოყენებული)/მოპოვებული საინვესტიციო საქმიანობიდან	(440)	496,601
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		
აღებული სესხი	688,986	806,406
გადახდილი სესხი	(783,112)	(1,267,797)
წმინდა ფულის (გასვლა)/შემოსვლა ფინანსური საქმიანობიდან	(94,125)	(461,391)
გაცვლითი კურსის ეფექტი ფულზე და ფულის ექვივალენტებზე		
წმინდა ფულის ზრდა	117,276	51,812
ფული და ფული ექვივალენტები წლის დასაწყისში	114,334	62,522
ფულადი საშუალებები და მისი ექვივალენტები წლის ბოლოს	231,610	114,334

ხელმოწერილი პირები:

აღმასრულებელი დირექტორი

29 აპრილი, 2021
 თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 8-28 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

1. შესავალი

კომპანია და მისი საქმიანობა

სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია მაიკრო ფინი (კომპანია) არის სააქციო საზოგადოება, რომელიც დაფუძნებულია და მდებარეობს საქართველოში საქართველოს კანონმდებლობის და დებულებების შესაბამისად. რეგისტრაციის მისამართი: ბახტრიონის ქუჩა #30, კორპუსი #2, ბინა #36, თბილისი, საქართველო.

კომპანია დაფუძნებული იქნა 2014 წლის 17 ნოემბერს, 2015 წლის 27 იანვარს კი დარეგისტრირდა, როგორც მიკროსაფინანსო ორგანიზაცია და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ექვემდებარება არასაბანკო დაწესებულებათა ზედამხედველობას.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს მიკრო სესხების გაცემა. კომპანიის ფინანსურ პროდუქტს წარმოადგენს ინდივიდუალური ბიზნეს სესხები. კომპანიას აქვს ცენტრალური ოფისი, რომელიც ამავდროულად ერთადერთ ფილიალს წარმოადგენს. ცენტრალური ოფისი მდებარეობს მისამართზე ქ.თბილისი, აღმაშენებლის 154.

სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია მაიკრო ფინის აქციების 90%-ს ფლობდა სს "კონსტანტა", რომელიც წარმოადგენს იურიდიულად რეგისტრირებულ კომერციულ სუბიექტს, ხოლო ფონდი „კონსტანტა“, არაკომერციული იურიდიული პირი, აქციების 10% -ის მფლობელი იყო. 2018 წლის 15 აგვისტოს აქციონერთა კრების გადაწყვეტილებით საწესდებო კაპიტალი გაიზარდა 540 000 ლარამდე. საზოგადოების მიერ საწესდებო კაპიტალის შევსების მიზნით გამოშვებული იქნა 225,000 ცალი პრივილეგირებული აქცია 1 ლარის ნომინალური ღირებულებით და 65,000 ცალი ჩვეულებრივი აქცია 1 ლარის ნომინალური ღირებულებით. ამ ეტაპზე სს „კონსტანტა“ ფლობს საზოგადოების 290 000 ცალ ჩვეულებრივ აქციას, რაც შეადგენს საზოგადოების მიერ გამოშვებულ ჩვეულებრივ აქციათა 92.06%-ს. ააიპ „ფონდი კონსტანტა“ ფლობს საზოგადოების 25,000 ჩვეულებრივ აქციას, რაც შეადგენს საზოგადოების მიერ გამოშვებულ ჩვეულებრივ აქციათა საერთო რაოდენობის 7,94%-ს და 225,000 პრივილეგირებულ აქციას, რაც შეადგენს საზოგადოების მიერ გამოშვებული პრივილეგირებული აქციების 100%-ს. 2019 წლის 24 ივნისის აქციონერთა კრების გადაწყვეტილებით საწესდებო კაპიტალი გაიზარდა 500 000 ლარით. საზოგადოების მიერ საწესდებო კაპიტალის შევსების მიზნით გამოშვებული იქნა 500,000 ცალი პრივილეგირებული აქცია 1 ლარის ნომინალური ღირებულებით ამ ეტაპზე სს „კონსტანტა“ ფლობს საზოგადოების 290 000 ცალ ჩვეულებრივ აქციას, რაც შეადგენს საზოგადოების მიერ გამოშვებულ ჩვეულებრივ აქციათა 92.06%-ს. ააიპ „ფონდი კონსტანტა“ ფლობს საზოგადოების 25,000 ჩვეულებრივ აქციას, რაც შეადგენს საზოგადოების მიერ გამოშვებულ ჩვეულებრივ აქციათა საერთო რაოდენობის 7,94%-ს და 725,000 პრივილეგირებულ აქციას, რაც შეადგენს საზოგადოების მიერ გამოშვებული პრივილეგირებული აქციების 100%-ს.

სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია მაიკრო ფინის საქმიანობა კონტროლდება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ, ხოლო კომპანიის ყოველდღიურ საქმიანობას მართავს დირექტორი - ლელა კიკნაძე.

წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	31-დეკ-2020	31-დეკ-2019
1 USD/GEL	3.2766	2.8677
1 EUR/GEL	4.0233	3.2095

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძვლები

შესაბამისობის პრინციპი

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით და ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძალაში მყოფი საერთაშორისო სააღრიცხვო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული სტანდარტების და ინტერპრეტაციების შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგებები შედგება სრული შემოსავლის ანგარიშგების, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგების, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების და განმარტებითი შენიშვნებისგან 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ასევე მოიცავს შესადარის ინფორმაციას 2019 წლის 31 დეკემბრამდე.

რადგან 2020 წლის 31 დეკემბრისთვის ძალაში მყოფი სტანდარტები და ინტერპრეტაციები შეიძლება შეიცვალოს ბასს-ის (IASB) ან საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციის კომიტეტის (IFRIC) მიერ, მენეჯმენტი არ გამორიცხავს ალბათობას, რომ საბოლოო ფინანსური ანგარიშგების შედგენამდე საჭირო გახდეს ფინანსური ანგარიშგებების კორექტირება ამ ცვლილებების გამო.

შეფასების საფუძველი

შეფასების საფუძვლად გამოყენებულია ისტორიული ღირებულების საფუძველი. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკით სხვაგვარად არის განსაზღვრული.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

მენეჯმენტმა მოამზადა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, დადებითი ფულადი სახსრების მოძრაობა, კომპანიის ოპერაციების მომგებიანობა და საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივ ფინანსურ რესურსებზე წვდომა, ანგარიშის პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

ფინანსური ინსტრუმენტები - ძირითადი შეფასების პირობები

კლასიფიკაციის გათვალისწინებით, როგორც ეს ქვემოთ არის აღწერილი, ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება რეალური ან ამორტიზებული ღირებულებით.

რეალური ღირებულება არის ის თანხა, რა თანხადაც შესაძლოა აქტივის გადაცვლა/რეალიზება ან ვალდებულების გადახდა, ნებაყოფლობით თანაბარი ინფორმაციის მქონე ორ მხარეს შორის გაშლილი ხელის მანძილის პირობებში. რეალური ღირებულება არის ფინანსური აქტივების მიმდინარე შეთავაზების ფასი და მოქმედ ბაზარზე მოვაჭრე ფინანსური ვალდებულებების მიმდინარე მოთხოვნილი ფასი. იმ აქტივებისთვის და ვალდებულებებისთვის, რომლებიც აბათილებენ

ერთმანეთის საბაზრო რისკს, კომპანიას შეუძლია გამოიყენოს საშუალო საბაზრო ფასი რისკის პოზიციის გაქვითვისათვის რეალური ღირებულებების განსაზღვრისას და მიუსადაგოს შეთავაზების ან მოთხოვნის ფასი სუფთა ღია პოზიციას. ფინანსური ინსტრუმენტები აღებულია საბაზრო ფასად, როგორც ის შეფასებულია მოქმედ ბაზარზე, თუკი მოცემული ფასები რეგულარულად ხელმისაწვდომია გადაცვლის ან სხვა დაწესებულებისგან და აღნიშნული ფასები წარმოადგენს რეალურ და რეგულარულად დამოუკიდებელ მხარეებს შორის განხორციელებულ საბაზრო ტრანზაქციების ღირებულებას.

იმ ფინანსური აქტივების რეალური ღირებულების შესაფასებლად, რომლისთვისაც არ არსებობს ინფორმაცია გარე საბაზრო ფასების შესახებ გამოიყენება სხვადასხვა შეფასების მეთოდები, როგორცაა დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელი, ან მოდელები დაფუძნებული ბოლო პერიოდში დამოუკიდებელ მხარეებს შორის განხორციელებულ ტრანზაქციებზე, ან ინვესტორების ფინანსური მონაცემების გათვალისწინება. შეფასების მეთოდები შეიძლება საჭიროებდეს დაშვებებს, რომელიც დაკვირვებადი ბაზრის ინფორმაციით არ დასტურდება. შენიშვნები კეთდება მსგავსი განსაკუთრებული მიზნის მქონე ფინანსური ინსტრუმენტების შესახებ, იმ შემთხვევაში თუ მსგავსი დაშვების შეცვლა უფრო გონივრულად დასაშვებია ალტერნატივით გამოიწვევს მნიშვნელოვან სხვაობას მოგებაში, შემოსავალში, მთლიან აქტივებში ან მთლიან ვალდებულებებში.

ტრანზაქციის დანახარჯები არის ფინანსური ინსტრუმენტის შეძენაზე, გამოშვებაზე ან რეალიზაციაზე პირდაპირ მიკუთვნებადი ნამატი ხარჯები. ნამატი ხარჯი არის დანახარჯი, რომელზეც არ გაიწეოდა ტრანზაქცია, რომ არ მომხდარიყო. ტრანზაქციის ხარჯები შეიცავს შუამავლისთვის (გაყიდვების შუამავლად დასაქმებული თანამშრომლის ჩათვლით), მრჩევის, ბროკერისა და დილერისათვის გადახდილ მოსაკრებელს და საკომისიოს, მარეგულირებელი სააგენტოების და ფასიანი ქაღალდების გაცვლის გადასახადს, სატრანსფერო გადასახადს. ტრანზაქციის ხარჯი არ შეიცავს ვალდებულების პრემიუმს ან ფასდაკლებას, ფინანსირების ხარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ თუ ფლობის ხარჯს. ამორტიზებული ღირებულება არის სხვაობა ფინანსური ინსტრუმენტის პირველად აღიარების თანხასა და ძირის გადახდას შორის, დამატებული დარიცხული პროცენტი და ფინანსური აქტივის შემთხვევაში ასევე გამოკლებული გაუფასურების დანაკარგის ჩამოწერა. დარიცხული პროცენტი შეიცავს პირველადი აღიარებისას განსაზღვრული ტრანზაქციის ღირებულებისა და სარგებლიანობის ვადის ამოწურვისათვის განსაზღვრული ნებისმიერი პრემიუმის ან ფასდაკლების თანხის ამორტიზაციას ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტო ხარჯი, დარიცხული კუპონი და ამორტიზებული პრემიუმის ან ფასდაკლების ჩათვლით (წარმოქმნისას მომხდარი გადასახადების ჩათვლით), ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი განცალკევებით და შედის დაკავშირებული პუნქტების მიმდინარე ღირებულებაში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე განაწილების მეთოდი მიმდინარე ღირებულებაზე პერიოდის მუდმივი საპროცენტო განაკვეთის (ეფექტური საპროცენტო განაკვეთის) მისაღებად. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი, არის განაკვეთი, რომელიც ფინანსური ინსტრუმენტის სასიცოცხლო ვადის განმავლობაში განსაზღვრული მომავალი ფულადი ნაკადების მთლიანად ადისკონტირებს ფინანსური ინსტრუმენტის მიმდინარე სუფთა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ახდენს სხვადასხვა საპროცენტო ინსტრუმენტების შემდეგ პროცენტის გადაფასების თარიღამდე დისკონტირებას, გარდა პრემიუმის ან ფასდაკლებისა, რომელიც ასახავს საკრედიტო სპრედს კონკრეტული ფინანსური ინსტრუმენტის მცურავ კურსზე და სხვა ცვლადებზე, რომელიც არ სწორდება საბაზრო განაკვეთით. მსგავსი პრემიუმის და ფასდაკლების ამორტიზება ხდება ინსტრუმენტის მთელი სასიცოცხლო ვადის განმავლობაში. მიმდინარე ღირებულების გამოთვლა გულისხმობს კონტრაქტის მხარეებს შორის გადახდილ ან მიღებულ ყველა გადასახადებს, რომელიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი ნაწილია.

ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია

კომპანიის მთლიანი ფინანსური აქტივები ხვდება სესხების და მოთხოვნების განსაზღვრის კატეგორიაში. სესხები და მოთხოვნები არის არადერივატიული ფინანსური აქტივები ფიქსირებული და განსაზღვრული გადახდებით, რომელიც მოქმედ ბაზარზე არ არის შეფასებული. აღნიშნული ფინანსური აქტივები ბალანსის თარიღიდან 12 თვეზე ნაკლებ პერიოდში დაფარვის ვადით, შედის მიმდინარე აქტივებში, 12 თვის ზემოთ - გრძელვადიან აქტივებში.

ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება

ყველა ფინანსური აქტივი და ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება სამართლიან ღირებულებას დამატებული ტრანზაქციის დანახარჯები. თავდაპირველი აღიარებისას სამართლიან ღირებულებას ყველაზე კარგად ასახავს ტრანზაქციის ფასი. სარგებელი ან დანაკარგი თავდაპირველი აღიარებისას აღირიცხება მხოლოდ მაშინ თუ არსებობს სხვაობა სამართლიან ღირებულებასა და ტრანზაქციის ფასს შორის, რომელიც შეიძლება გამოიკვეთოს მსგავს ინსტრუმენტებზე სხვა მიმდინარე საბაზრო ტრანზაქციებზე დაკვირვებით, ან შეფასების მეთოდით, რომლის შემავალი მონაცემები შეიცავს მხოლოდ ინფორმაციას დაკვირვებადი ბაზრებიდან.

ფინანსური აქტივის ყველა შესყიდვა, ან რეალიზაცია, რომელიც მოითხოვს აქტივის გარკვეული დროის საზღვრებში მიწოდებას. დაწესებული რეგულაციით, თუ ბაზრის პირობებით (ვაჭრობის მიღებული წესი) აღიარდება რეალიზაციის/შესყიდვის თარიღით, კერძოდ თარიღით, როცა კომპანია აიღებს ვალდებულებას შეიძინოს, ან გაყიდოს აქტივი. ყველა სხვა შესყიდვა აღიარდება იმ თარიღით როდესაც პირი გახდება ინსტრუმენტის ხელშეკრულების ვალდებულების მხარე.

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც ა) მოხდება აქტივის გამოსყიდვა, ან აქტივისგან მისაღები ფულადი ნაკადები სხვა მიზეზით ამოიწურება; ბ) კომპანიამ გადასცა აქტივიდან მისაღები ფულადი ნაკადების უფლება ან შევიდა შუამავლის გარიგებაში, როდესაც 1) ასევე გადასცემს აქტივის ფლობის სარგებლის და რისკების მნიშვნელოვან წილს, ან 2) არც გადასცემს, მაგრამ არც იტოვებს სარგებლის და რისკების მნიშვნელოვან რისკებს, მაგრამ ასევე უარს ამბობს კონტროლზე. კონტროლი ნარჩუნდება, იმ შემთხვევაში თუ მეორე მხარეს არ აქვს უფლება მთლიანი აქტივის მესამე პირზე რეალიზაციის, რეალიზაციაზე გარკვეული შეზღუდვების დაწესების გარეშე.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივის გაუფასურება

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივის გაუფასურება ხდება, მისი თავდაპირველი აღიარების შემდგომ პერიოდში მომხდარი ერთი ან რამდენიმე მოვლენით („დანაკარგის მოვლენები“), რომელსაც გავლენა აქვს ფინანსური აქტივის ან ფინანსური აქტივების ჯგუფისგან მისაღები მომავალი ფულადი ნაკადების მოცულობაზე ან ვადებზე და შეიძლება ამის საიმედოდ განსაზღვრა, გამოწვეული გაუფასურების დანაკარგები აღიარდება მოგება-ზარალზე მათი მოხდენის პერიოდში. თუ კომპანია დაასკვნის, რომ არ არსებობს ინდივიდუალურად შეფასებული ფინანსური აქტივის გაუფასურების მოხდენის ობიექტური მტკიცებულება, იქნება ეს მნიშვნელოვანი თუ არა, იგი შეიყვანს აღნიშნულ ფინანსურ აქტივს მსგავსი საკრედიტო რისკის მქონე აქტივების

ჯგუფში და მოახდენს მათ ჯგუფურ ტესტირებას გაუფასურებაზე. ფინანსური აქტივის გაუფასურების შესამოწმებლად კომპანიის მიერ ძირითადად გამოყენებული ფაქტორები არის მისი ვადაგადაცილებულობის სტატუსი და მისი შესაბამისი უზრუნველყოფის, ასეთის არსებობის შემთხვევაში სანდოობა. ფინანსური აქტივის გაუფასურების შემოწმების სხვა ძირითადი კრიტერიუმს წარმოადგენს:

- დავალიანების გარკვეული ნაწილი ვადაგადაცილებულია და ვადაგადაცილება არ არის გამოწვეული გადახდის სისტემის დაყოვნებით. მეორე მხარე განიცდის მნიშვნელოვან ფინანსურ სირთულეს, როგორც ეს ჩანს კომპანიის მიერ მოპოვებული ფინანსური ინფორმაციით;
- მეორე მხარე განიხილავს გაკოტრების ან ფინანსური რეორგანიზაციის ვარიანტს;
- სახეზეა მეორე მხარის მიერ გადახდების სტატუსის მნიშვნელოვანი გაუარესება ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებების შედეგად, რომელსაც გავლენა აქვს მეორე მხარეზე ან;
- უზრუნველყოფის ღირებულება მნიშვნელოვნად მცირდება ბაზრის პირობების მნიშვნელოვანი გაუარესების შედეგად.

თუკი მოხდა ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული გაუფასურებული ფინანსური აქტივის პირობების გადახედვა ან სხვაგვარად მოდიფიკაცია მეორე მხარის ფინანსური სირთულეების გამო, გაუფასურება გამოითვლება პირობების ცვლილებამდე არსებული თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

გაუფასურების დანაკარგი ყოველთვის აღიარდება სარეზერვო ანგარიშზე აქტივის საბალანსო ღირებულების მოსალოდნელი ფულადი ნაკადების (რომელიც არ შეიცავს მომავალ საკრედიტო დანაკარგებს, რომელიც ჯერ არ მომხდარა) აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებულ ღირებულებამდე ჩამოსაწერად. უზრუნველყოფილი ფინანსური აქტივის მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულების გამოთვლა მოიცავს უზრუნველყოფილი აქტივისგან მოსალოდნელ ფულად ნაკადებს, გამოკლებული მისი მიღების და რეალიზაციის დანახარჯები, იმის მიუხედავად არის თუ არა უზრუნველყოფილი აქტივის მოსალოდნელი რეალიზაცია.

თუკი შემდგომ პერიოდში მოხდება გაუფასურების ზარალის შემცირება და ეს შემცირება შეიძლება საიმედოდ მიეკუთვნოს გაუფასურების ზარალის აღიარების შემდგომი პერიოდის მოვლენას (როგორცაა დებიტორის საკრედიტო რეიტინგის გაუმჯობესება), მანამდე აღიარებული გაუფასურების ზარალის გაუქმება მოხდება სარეზერვო ანგარიშის დაკორექტირებით წლის მოგება-ზარალზე.

უიმედო აქტივები ჩამოიწერება შესაბამის გაუფასურების დანაკარგის რეზერვის ანგარიშზე აქტივის აღდგენისათვის ყველა საჭირო პროცედურის დასრულების და დანაკარგის მოცულობის განსაზღვრის შემდეგ. წინა პერიოდში ჩამოწერილი თანხების შემდგომი აღდგენა დაკრედიტდება გაუფასურების დანაკარგის ანგარიშზე წლის მოგება-ზარალზე.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი საშუალებებისგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები რომელთა გამოყენება არ შეიძლება 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლითი ტრანზაქციებში გამოყენებისაგან აღიარდება ბალანსზე როგორც სხვა გრძელვადიანი მოვლენები.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღირიცხება მათ თავდაპირველ თვითღირებულებას, დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან/და გაუფასურების ღირებულებით. ძირ. საშუალების თვითღირებულება შედგება მშენებლობის ხარჯის ან შესყიდვის ფასისგან, მასთან დაკავშირებული იმპორტის გადასახადების, გამოუქვითავი გადასახადების და სხვა პირდაპირი ხარჯების ჩათვლით. ნებისმიერი სავაჭრო ფასდაკლება გამოაკლდება შეყიდვის ან მშენებლობის ფასს.

მცირე შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება.

ყველა აქტივი წარმოდგენილია საწყისი ღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მენეჯმენტი აფასებს, არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ნიშნები. თუ გაუფასურებას ჰქონდა ადგილი, ხდება ძირითადი საშუალებების ჩამოფასება უმაღლესი თანხით შემდეგ ორს შორის: გამოყენების ღირებულება და სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის ხარჯები. საბალანსო ღირებულების შემცირება აისახება მოგება-ზარალზე. წინა პერიოდში აღიარებული აქტივის გაუფასურების დანაკარგი გაიქვითება, თუკი მოხდება აქტის გამოყენების ღირებულების ან სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის დანახარჯების ღირებულების გამოსათვლელად საჭირო დაშვებების ცვლილება.

ძირითადი საშუალებების ჩამოწერა/რეალიზაციიდან მისაღები თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

ცვეთა

ცვეთა ძირითად საშუალებებზე გამოითვლება წრფივი მეთოდით რაც გულისხმობს აქტივების ღირებულება განაწილდეს მათი გემგიური საექსპლუატაციო ვადის ზემოთ ნარჩენი ღირებულების გამოკლებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში). შემდეგი საექსპლუატაციო ვადები გამოიყენება ავეჯისა და სხვა ინვენტარის ცვეთისათვის:

	სასარგებლო ვადა (წელი)
კომპიუტერული ტექნიკა	5
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5

ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო ღირებულება, რასაც კომპანია მიიღებდა ამჟამად ძირითადი საშუალების გაყიდვიდან, გაყიდვის ხარჯების გამოკლებით. ძირითადი საშუალებების მომსახურების პერიოდი გადაიხედება ყოველწლიურად და იცვლება საჭიროების შემთხვევაში.

შემოსავლის აღიარება

კომპანია აღიარებს საქონლის ან მომსახურების მომხმარებლისადმი გადაცემით მიღებულ შემოსავალს იმ ოდენობით, რომელსაც ის მოელის, რომ მიიღებს მომხმარებლისადმი აღნიშნული საქონლის ან მომსახურების გადაცემის შედეგად.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ან დასკვნის თარიღისთვის ამოქმედებული კანონმდებლობის მიხედვით. მოგების გადასახადი წარმოადგენს მიმდინარე გადასახადს და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ის პირდაპირ აღიარებულია კაპიტალში, რადგანაც უკავშირდება ოპერაციებს, რომლებიც იმავე ან განსხვავებულ პერიოდში, ასევე პირდაპირ კაპიტალში აღიარდება.

მიმდინარე მოგების გადასახადი არის მიმდინარე ან გასული პერიოდის დასაბეგრი მოგების გადასახდელი ან ზარალის შესაბამისი მოგების გადასახადის აღდგენადი თანხა. იმ შემთხვევაში თუ ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნება ხდება საგადასახადო დეკლარაციების ჩაბარებამდე, დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება შეფასებებს. გადასახადები, მოგების გარდა, აღირიცხება ადმინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

გადავადებული მოგების გადასახადი აღარ მიესადაგება ფინანსურ ანგარიშგებებს, იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს ახალი საგადასახადო კოდექსით აღარ გამოიყენება.

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალის ინვესტირება აღიარდება ნომინალური ღირებულებით და კლასიფიცირდება როგორც საწესდებო კაპიტალი. დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება იმ პერიოდისთვის, რომელშიც იგი გამოცხადდება.

ორგანიზაციის საპაიო კაპიტალი ფორმირებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მოთხოვნების შესაბამისად და მასში მომხდარი ნებისმიერი ცვლილება დოკუმენტურად შეესაბამება მთავარი წიგნის შესაბამისად ანგარიშგებზე ასახულ ცვლილებებს.

სესხები

სესხები აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით ამორტიზებული ღირებულებით.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არა-ფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესაძბისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან გარკვეული შეფასებების და დაშვებების გაკეთებას, რომელიც გავლენას ახდენს მოგების, ხარჯების, აქტივების და ვალდებულებების ღირებულებაზე და მათ შესაბამის შენიშვნებზე და პირობითი ვალდებულების შენიშვნაზე. უზუსტობამ აღნიშნულ შეფასებებში და დაშვებებში შესაძლოა გამოიწვიოს ისეთი შედეგი, რომელიც საჭიროს გახდის აქტივის საბალანსო ღირებულების მატერიალურ კორექტირებას ან გავლენას მოახდენს ვალდებულებაზე მომავალ პერიოდში.

ანარიცხები რეზერვში კრედიტების გაუფასურების გამო

კომპანია რეგულარულად განიხილავს თავის კრედიტებს გაუფასურების თვალსაზრისით. გაუფასურების დანაკარგები განისაზღვრება მიყენებული გაუფასურების დანაკარგების აღიარებისათვის მის პორტფელში. გადაწყვეტილება გამოყენებულია რეზერვში ანარიცხების დასასდგენად კრედიტების გაუფასურების გამო. კომპანიას აქვს თავისი მეთოდოლოგია, რომლის მიხედვითაც განისაზღვრება გაუფასურების დანაკარგები, ეს მეთოდოლოგია და სახელმძღვანელოები რეგულარულად გადიან მონიტორინგს და გადაიხედებიან.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო კოდექსი და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებს.

გადასახადები

2016 წლის ივნისში საქართველოს საგადასახადო კანონში ცვლილებები შევიდა მოგების გადასახადთან დაკავშირებით. ცვლილებები ძალაში შედის 2017 წლის 1 იანვრიდან და გავრცელდა საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიაზე, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, რომლებისთვისაც ძალაში შესვლის თარიღი თავდაპირველად 2019 წლის 1 იანვრით განისაზღვრა და შემდეგ 2018 წელს შეიცვალა 2023 წლის 1 იანვრით. ახალი რეგულაციის თანახმად, მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, და არა მოგება, რომელიც მიღებული იქნა არსებული ნორმატიული აქტების შესაბამისად. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა იანგარიშება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. კომპანიებს უფლება ექნებათ ჩაითვალონ 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით.

ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობა

კომპანია აკეთებს ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობის შეფასებას, სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, როგორებიცაა: ტექნიკური ან კომერციული მოძველება, მოსალოდნელი წარმადობა, სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა, რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობა ცდილობს მაქსიმალურად ზუსტად შეაფასოს ძირითადი საშუალებით გამოსახული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოდელი, ის შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან, რამაც შესაძლოა მატერიალური გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენილ მონაცემებზე.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებს შორის

კომპანიის ბიზნესის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას კომპანია დებს გარიგებებს დაკავშირებულ მხარეებთან. IAS 39 მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების საწყის აღიარებას, მათ სამართლიან ღირებულებაზე დაყრდნობით. გადაწყვეტილება გამოიყენება იმის დასადგენად, გარიგება შეფასებულია საბაზრო თუ არასაბაზრო ფასებით, როდესაც არ არის აქტიური ბაზარი ამგვარი გარიგებისათვის. გადაწყვეტილების საფუძველი არის მსგავსი ტიპის გარიგებების ფასდადება არადაკავშირებულ მხარეებთან.

IASB-ს მიერ გამოცემული ახალი ან განახლებული სტანდარტები და განმარტებები

ახალი ან განახლებული სტანდარტები და განმარტებები რომლებიც ძალაშია 2018 წლის პირველი იანვრიდან.

- ფასს 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“ (გამოცემული 2014 წლის ივლისში) - სტანდარტი ჩაანაცვლებს ბასს 39 სტანდარტს (ასევე ჩაანაცვლებს ფასს 9 სტანდარტის ყველა წინა ვერსიას) 2018 წლის პირველ იანვარს ან შემდეგ დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისთვის. სტანდარტი მოიცავს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაციის, გაზომვის, გაუფასურების, ჰეჯირების აღრიცხვისა და აღიარების შეწყვეტის წესებს.
- ფასს 9-ს მიხედვით ყველა აღიარებული ფინანსური აქტივის შემდგომი აღრიცხვა უნდა მოხდეს ამორტიზებული ან რეალური ღირებულებით (მოგებაზე ან ზარალზე ან სხვა საერთო შემოსავალზე) კლასიფიკაციის მიხედვით ბიზნესის მოდელის და კონტრაქტით გათვალისწინებული ფულადი ნაკადების მახასიათებლების გათვალისწინებით.
- ფინანსურ ვალდებულებებზე ფასს 9 სტანდარტი ყველაზე დიდ გავლენას ახდენს იმ შემთხვევაში, სადაც გამოიყენება რეალური ღირებულების მეთოდი: ისეთი ფინანსური ვალდებულების რეალური ღირებულების ცვლილების აღიარება, რომელიც აღრიცხულია რეალური ღირებულებით ვალდებულების რისკების ცვლილებით გამოწვეული მოგებისა და ზარალის გათვალისწინებით, ხდება სხვა საერთო შემოსავალში (მოგებასა და ზარალში აღიარების ნაცვლად) გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს იწვევს წინააღმდეგობას აღრიცხვაში.
- ფინანსური აქტივების გაუფასურებისთვის ფასს 9 სტანდარტში შემოტანილია „მოსალოდნელი კრედიტის დანაკარგის“ მოდელი, რომელიც დაფუძნებულია კონტრაქტის საწყის ეტაპზე მოსალოდნელი ზარალის გათვალისწინების პრინციპზე. კრედიტის დანაკარგის აღიარებისთვის აუცილებელი ადარ იქნება გაუფასურების ობიექტური მიზეზის არსებობა.
- ჰეჯირების აღრიცხვისთვის ფასს 9 სტანდარტში შემოტანილია არსებითი რევიზია, რისი წყალობითაც ფინანსური ანგარიშგებები უკეთ ასახავენ, თუ როგორ ტარდება რისკის მართვის აქტივობები ფინანსური და არაფინანსური რისკების ჰეჯირებისას.
- აღიარების შეწყვეტის რეზერვები თითქმის უცვლელადაა გადმოტანილი ბასს 39 სტანდარტიდან.

მენეჯმენტი არ იყენებს IFRS 9-ს საკუთარ ანგარიშგებებში

- ფასს 16 „ლიზინგი“ (გამოცემულია 2017 წლის იანვარში) - ახალი სტანდარტი, რომელიც ვრცელდება 2019 წლის პირველ იანვარს ან შემდეგ დაწყებულ საანგარიშგებო პერიოდებზე, ჩაანაცვლებს ბასს 17 სტანდარტს და მის ინტერპრეტაციებს (SIC-15, SIC-27 და IFRIC 4). სტანდარტში აღწერილია ლიზინგის აღრიცხვის საერთო მოდელი, რომლის მიხედვითაც მეიჯარემ უნდა აღიაროს აქტივი და ვალდებულება ყველა იჯარისთვის, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც საიჯარო ვადა 12 თვეს არ აღემატება ან საიჯარო აქტივის ღირებულება დაბალია. მოიჯარე აგრძელებს აღიარებას საოპერაციო ან ფინანსურ იჯარად, ფასს 16-ის შემთხვევაში მიდგომა დიდად არ განსხვავდება წინა მოქმედი სტანდარტის (ბასს 17-ის) მიდგომისგან.

IFRS 16-ს არ აქვს გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს 15, კლიენტებთან დადებული კონტრაქტებიდან შემოსავალი (გამოიცა 2014 წლის 28 მაისს და მოქმედებს პერიოდისთვის დაწყებული 2018 წლის 1 იანვარს ან შემდეგ)

ეს ახალი სტანდარტი გვთავაზობს მთავარ პრინციპს, რომ შემოსავალი აღიარებული უნდა იყოს მაშინ, როცა საქონელი ან მომსახურებები გადაეცემა კლიენტს, გარიგებაში ფაქტიური გაყიდვის ფასად. ნებისმიერი პაკეტით განსაზღვრული საქონელი ან მომსახურებები, რომლებიც განსხვავდება, ცალკე უნდა იყოს აღიარებული და საკონტრაქტო ფასის ნებისმიერი დისკონტი ზოგადად უნდა გადანაწილდეს ცალკე ელემენტებზე. როცა უზრუნველყოფა რაიმე მიზეზით იცვლება, მინიმალური თანხები აღიარებული უნდა იყოს, თუ მათ არ აქვთ შეზღუდვის მნიშვნელოვანი რისკი. კლიენტებთან კონტრაქტების უზრუნველყოფით გამოწვეული ხარჯები უნდა კაპიტალიზდებოდეს და ამორტიზებული იქნას პერიოდის განმავლობაში, როცა კონტრაქტის სარგებელი მოიხმარება. ეს ცვლილება არ არის მოსალოდნელი, რომ რაიმე გავლენას მოახდენს ჯგუფის ფინანსურ ანგარიშებზე.

ფასიკ 22 “ოპერაციები უცხოურ ვალუტაში და წინასწარი ანაზღაურება” (გამოცემულია 2016 წლის 8 დეკემბერს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2018 წლის 1 იანვარს ან შემდეგ)

ინტერპრეტაცია ითვალისწინებს ოპერაციის თარიღის განსაზღვრის წესს უცხოურ ვალუტაში ოპერაციების შესახებ სტანდარტის გამოყენების დროს. ბასს 21. ინტერპრეტაცია გამოიყენება როდესაც საწარმო იხდის ან იღებს ანაზღაურებას წინასწარ უცხოურ ვალუტაში დენომინირებული კონტრაქტებისთვის. ინტერპრეტაცია მიუთითებს, რომ ოპერაციის თარიღი არის დღე, რომელზეც საწარმო თავდაპირველად აღიარებს არაფულად აქტივს ან არაფულად ვალდებულებას, რომელიც წარმოიქმნება წინასწარი ანაზღაურების გადახდის ან მიღების შედეგად. რამდენიმე წინასწარი გადახდის ან მიღების შემთხვევაში, ინტერპრეტაცია მოითხოვს საწარმომ განსაზღვროს ოპერაციის თარიღი წინასწარი ანაზღაურების თითოეულ გადახდასთან ან მიღებასთან დაკავშირებით. ინტერპრეტაცია მოითხოვს საწარმომ განსაზღვროს ოპერაციის თარიღი წინასწარი ანაზღაურების თითოეული გადახდისთვის ან მიღებისთვის. არანაირი არსებითი გავლენა არ არის მოსალოდნელი ჯგუფზე ახალი სტანდარტის შემოღების შედეგად.

ახალი ან განახლებული სტანდარტები და განმარტებები რომლებიც ძალაშია 2019 წლის პირველი იანვრიდან.

ფასიკ 23 “გაურკვევლობები მოგების გადასახადით დაბეგვრის შესახებ” (გამოცემულია წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ)

ბასს 12 მიუთითებს მიმდინარე და გადავადებული გადასახადის აღრიცხვის წესს, მაგრამ არ მიუთითებს გაურკვევლობების შედეგების ასახვის წესს. ინტერპრეტაცია განსაზღვრავს აღიარების და შეფასების მოთხოვნების წესს ბასს 12-ში, გაურკვევლობის შემთხვევაში მოგების გადასახადით დაბეგვრის შესახებ. საწარმომ უნდა განსაზღვროს განიხილოს თუ არა თითოეული გაურკვეველი საგადასახადო რეჟიმი ცალკე თუ სხვა ერთ ან მეტ გაურკვეველ საგადასახადო რეჟიმებთან ერთად, რომელი მიდგომის საფუძველზეც უკეთ განსაზღვრავს გაურკვევლობის გადაწყვეტის საკითხს. საწარმომ უნდა დაუშვას, რომ საგადასახადო ორგანო შეამოწმებს იმ თანხებს, რომლის შემოწმების უფლებაც გააჩნია და სრული ინფორმაცია აქვს ასეთი შემოწმებების განხორციელების დროს. თუ საწარმოს დასკვნით არ არის შესაძლებელი რომ საგადასახადო ორგანომ მიიღოს გაურკვეველი საგადასახადო რეჟიმი, გაურკვევლობის ეფექტი უნდა აისახოს დაკავშირებული დაბეგვრადი მოგების ან ზარალის, საგადასახადო ბაზების, გამოუყენებელი საგადასახადო ზარალის, გამოუყენებელი საგადასახადო კრედიტების ან საგადასახადო განაკვეთების განსაზღვრაში, სარწმუნო თანხის ან მოსალოდნელი ღირებულების გამოყენებით, რომელი მეთოდის საფუძველზეც საწარმო უკეთ

განსაზღვრავს გაურკვევლობის გადაწყვეტის საკითხს. საწარმო ასახავს ცვლილების შედეგს ფაქტობრივად და გარემოებების მიხედვით ან ახალი ინფორმაციის შედეგს, რომელიც გავლენას ახდენს ინტერპრეტაციით მოთხოვნილ შეფასებებზე, წინასწარი აღრიცხვის ცვლილების სახით. ცვლილებების მაგალითები ფაქტობრივად და გარემოებებში ან ახალი ინფორმაცია, რომელმაც შესაძლოა გამოიწვიოს ხელშეორედ შეფასება, მოიცავს და არა მხოლოდ შემოწმებებს ან ქმედებებს საგადასახადო ორგანოს მიერ, ცვლილებებს წესებში, რომელიც დადგენილია საგადასახადო ორგანოს მიერ ან გამოიწვიოს საგადასახადო ორგანოს საგადასახადო რეჟიმის შემოწმების ან განმეორებით შემოწმების უფლების ამოწურვა. საგადასახადო რეჟიმთან დაკავშირებით საგადასახადო ორგანოს შეთანხმების არარსებობა ან უთანხმოება არ მოიცავს ცვლილებას ფაქტობრივად და გარემოებებში ან ახალ ინფორმაციას, რომელიც გავლენას ახდენს ინტერპრეტაციით მოთხოვნილ შეფასებებზე. ჯგუფი ამჟამად აფასებს ინტერპრეტაციის ზემოქმედებას ფინანსურ ანგარიშგებებზე.

4. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები	31.12.2020	31.12.2019
მიმდინარე ანგარიშები ეროვნულ ვალუტაში	250,987	192,003
თანხა საგარანტიო სადეპოზიტო ანგარიშზე	22,712	22,049
შეზღუდული ფულადი სახსრები	(42,089)	(99,718)
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	231,610	114,334

ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე შესაძლოა კლასიფიცირებული იყოს, როგორც არასარიცხო, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბანკები, სადაც კომპანიას მიმდინარე ანგარიშები აქვს, არის სანდო და საყოველთაოდ ცნობილი საკრედიტო დაწესებულებები.

შეზღუდული ფულადი სახსრები 42,089 ლარი 31 დეკ 2020-ის მდგომარეობით (99,718 ლარი 31 დეკ 2019-ის მდგომარეობით) წარმოქმნილია კლიენტებზე დარიცხული სესხებისგან, რომლებიც 31 დეკემბრის მდგომარეობით არ არის კლიენტის მიერ გატანილი და წარმოადგენს მომავალში კომპანიის მიერ გასაცემ თანხას.

5. გაცემული სესხები

კლიენტებზე გაცემული სესხები	31.12.2020	31.12.2019
ფიზიკური პირებისათვის მიცემული მოკლევადიანი სესხები	1,121,548	1,340,403
ფიზიკური პირებისათვის მიცემული გრძელვადიანი სესხები	1,557,700	1,510,474
ზედმეტობა სესხის სტანდარტული გადახდის პირობებთან მიმართებაში	(58,027)	(48,602)
ფიზიკური პირებისათვის მიცემული სესხების ვადაგადაცილებული დავალიანება	5,251	14,260
	2,626,472	2,816,535

მისაღები პროცენტები კლიენტებისათვის მიცემული სესხების მიხედვით	160,707	43,984
სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვი	(112,124)	(23,590)

სულ კლიენტებზე გაცემული სესხები	2,675,055	2,836,929
--	------------------	------------------

	ბიზნეს სესხი	სამომხმარებლო სესხი	სულ
- ახალი მსესხებლები	2,056,281	-	2,056,281
- სხვა დანარჩენი მსესხებლები	602,247	25,972	628,219
- ზედმეტობა სესხის სტანდარტული გადახდის პირობებთან მიმართებაში	(58,027)	-	(58,027)
სულ სესხები გაუფასურების და პროცენტის გარეშე	2,600,501	25,972	2,626,473

	ბიზნეს სესხი	სამომხმარებლო სესხი	სულ
- 0-დან 30 დღის ჩათვლით	2,645,008	25,972	2,670,981
- 31-დან 60 დღის ჩათვლით	-	-	-
- 61-დან 90 დღის ჩათვლით	-	-	-
- 91-დან 120 დღის ჩათვლით	-	-	-
- 120 -დან 150 დღის ჩათვლით	1,635	-	1,635
- 150 -დან 180 დღის ჩათვლით	11,884	-	11,884
- ზედმეტობა სესხის სტანდარტული გადახდის	(58,027)	-	(58,027)

სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „მაიკრო ფინი“
 შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებებზე 2020 წლის 31 დეკემბერი
 თანხები მოცემულია ლარში

პირობებთან მიმართებაში			
სულ ვადაგადაცილებები გაუფასურების და პროცენტის გარეშე	2,600,501	25,972	2,626,473
დარიცხული პროცენტი	160,707	-	160,707
სულ სესხები გაუფასურების გარეშე	2,761,208	25,972	2,787,180

	ბიზნეს სესხი	სამომხმარებლო სესხი	სულ
- 0-დან 30 დღის ჩათვლით	24,038	2,516	26,554
- 31-დან 60 დღის ჩათვლით	-	-	-
- 61-დან 90 დღის ჩათვლით	-	-	-
- 91-დან 120 დღის ჩათვლით	-	-	-
- 120 -დან 150 დღის ჩათვლით	1,635	-	1,635
- 150 -დან 180 დღის ჩათვლით	11,884	-	11,884
სულ რეზერვი	37,557	2,516	40,073

დამატებით საერთო რეზერვი ეროვნული ბანკის რეგულაციით			
საერთო რეზერვი	72,051		72,051
სულ კლიენტებზე გაცემული სესხები	2,723,650	23,457	2,675,057

სესხების გაუფასურების ხარჯი კომპანიას დაანგარიშებული აქვს ეროვნული ბანკის მოთხოვნის მიხედვით. 2020 წლისათვის სესხის გაუფასურების ხარჯი არის 126,263 ლარი. ხოლო 2019 წლისათვის სესხის გაუფასურების ხარჯი შეადგენდა 68,539 ლარს.

6. სხვა აქტივები

სხვა აქტივები	31.12.2020	31.12.2019
დებიტორული დავალიანება	13,056	13,056
გადახდილი ავანსები	23,282	31,708
სხვა მოთხოვნები	750	750
მოგების მიმდინარე გადასახადი	1	35,947
საგადასახადო აქტივი	902	5,384
გადავადებული საგადასახადო აქტივი	2,177	31
სულ სხვა აქტივები	40,168	86,876

7. სააქციო კაპიტალი

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კაპიტალი შეადგენს 1,040,000 ლარს, კომპანიის გაუნაწილებელი მოგება ნულოვანია. ასევე, მიმდინარე პერიოდში სააქციო კაპიტალში მოძრაობა არ ფიქსირდება.

2019 წლის 24 ივნისის აქციონერთ კრების გადაწყვეტილებით საწესდებო კაპიტალი გაიზარდა 500 000 ლარამდე. საზოგადოების მიერ საწესდებო კაპიტალის შევსების მიზნით გამოშვებული იქნა 500,000 ცალი პრივილეგირებული აქცია 1 ლარის ნომინალური ღირებულებით ამ ეტაპზე სს „კონსტანტა“ ფლობს საზოგადოების 290 000 ცალ ჩვეულებრივ აქციას, რაც შეადგენს საზოგადოების მიერ გამოშვებულ ჩვეულებრივ აქციათა 92.06%-ს. ააიპ „ფონდი კონსტანტა“ ფლობს საზოგადოების 25,000 ჩვეულებრივ აქციას, რაც შეადგენს საზოგადოების მიერ გამოშვებულ ჩვეულებრივ აქციათა საერთო რაოდენობის 7,94%-ს და 725,000 პრივილეგირებულ აქციას, რაც შეადგენს საზოგადოების მიერ გამოშვებული პრივილეგირებული აქციების 100%-ს.

2018 წლის 15 აგვისტოს აქციონერთ კრების გადაწყვეტილებით საწესდებო კაპიტალი გაიზარდა 540 000 ლარამდე. საზოგადოების მიერ საწესდებო კაპიტალის შევსების მიზნით გამოშვებული იქნა 225,000 ცალი პრივილეგირებული აქცია 1 ლარის ნომინალური ღირებულებით და 65,000 ცალი ჩვეულებრივი აქცია 1 ლარის ნომინალური ღირებულებით. ამ ეტაპზე სს „კონსტანტა“ ფლობს საზოგადოების 290 000 ცალ ჩვეულებრივ აქციას, რაც შეადგენს საზოგადოების მიერ გამოშვებულ ჩვეულებრივ აქციათა 92.06%-ს. ააიპ „ფონდი კონსტანტა“ ფლობს საზოგადოების 25,000 ჩვეულებრივ აქციას, რაც შეადგენს საზოგადოების მიერ გამოშვებულ ჩვეულებრივ აქციათა საერთო რაოდენობის 7,94%-ს და 225,000 პრივილეგირებულ აქციას, რაც შეადგენს საზოგადოების მიერ გამოშვებული პრივილეგირებული აქციების 100%-ს.

8. სესხები დაკავშირებული მხარისგან

სესხები დაკავშირებული მხარისგან	31.12.2020	31.12.2019
ფიზიკური პირებიდან ნასესხები ფულადი სახსრები	-	100,000
იურიდიული პირებიდან ნასესხები ფულადი სახსრები	1,820,000	1,820,000
გადასახდელი პროცენტები	76,628	70,753
სულ სესხები და გადასახდელი პროცენტები	1,896,628	1,990,753

2018 წლის 30 აგვისტოს კომპანიამ აიღო სესხი ფიზიკური პირისგან 100,000 ლარის ოდენობით, წლიური 16% სარგებლის განაკვეთით. სესხის ხელშეკრულების თანახმად ძირითადი თანხის დაბრუნების თარიღად მითითებულია 30.01.2020 წელი. მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდში სესხზე დარიცხულმა საპროცენტო ხარჯმა შეადგინა 1,271 ლარი. 2020 წლის 30 იანვარს კომპანიამ, ხელშეკრულებისამებრ, გადაიხადა ძირითადი თანხა მთლიანად, 100,000 ლარის ოდენობით.

იურიდიული პირისგან კომპანიას მიღებული აქვს სესხები. თავდაპირველი მიღების თარიღი არის 2015 წელი და ყოველი წლის განმავლობაში მიღებული სესხების თანხების მოცულობები არის განსხვავებული სიდიდის. მინიმალური სესხის არის 30,000 ლარი ხოლო მაქსიმალური 100,000 ლარი; ყველა სესხი აღებული არის ლარში. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სესხის ძირითადი თანხა შეადგენს 1,820,000 ლარს. წლიური საპროცენტო განაკვეთი ყოველი სესხისთვის არის 16.93 %. წლის განმავლობაში მოცემულ სესხზე საპროცენტო ხარჯმა შეადგინა 308,970 ლარი, ხოლო პრივილეგირებულ აქციებზე - 64,918. ჯამში ფონდ კონსტანტასგან მიღებულ სესხებზე დარიცხული პროცენტი არის 373,888 ლარი.

9. საპროცენტო შემოსავალი

საპროცენტო შემოსავალი	2020	2019
დეპოზიტებზე დარიცხული პროცენტი	9,235	10,916
პროცენტული შემოსავლები ფიზიკური პირებისათვის მიცემული მოკლევადიანი სესხების მიხედვით	927,836	912,702
საკომისიოები და შემოსავლები დანარჩენი ოპერაციების მიხედვით	67,925	104,159
სულ საპროცენტო შემოსავალი	1,004,996	1,027,777

10. საპროცენტო ხარჯი

საპროცენტო ხარჯი	2020	2019
პროცენტული ხარჯები ფიზიკური პირებიდან მიღებული სესხების მიხედვით	1,271	16,000
პროცენტული ხარჯები იურიდიული პირებიდან მიღებული სესხების მიხედვით	373,888	408,175
სულ საპროცენტო ხარჯი	375,160	424,175

11. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	2020	2019
საკომუნიკაციო და საინფორმაციო მომსახურებები	55,517	67,245
სხვადასხვა პროფესიული მომსახურებები	36,783	54,406
პროგრამული უზრუნველყოფის იჯარის ხარჯი	64,210	47,266
საბანკო ხარჯები	27,647	38,998
ოფისის იჯარის ხარჯი	22,789	30,431
ცვეთა და ამორტიზაცია	7,247	10,050
სხვა ხარჯები	9,376	8,158
საოფისე მასალები	3,174	7,347
საპენსიო ხარჯი	5,680	5,537
მივლინების ხარჯები	-	4,336
საწევროების ხარჯი	2,760	4,342
მგზავრობისა და ტრანსპორტირების ხარჯები	589	1,213
გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა	90	124
სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	235,861	279,453

12. ხელფასები და ბონუსები

ხელფასები და ბონუსები	2020	2019
ხელფასის ხარჯი	240,534	222,349
სხვა სარგებელი	811	2,435
თანამშრომელთა პრემირების ხარჯები (ხელმძღვანელობის გარდა)	23,939	32,188
შვებულების ხარჯი	12,536	7,738
დაზღვევის ხარჯი	14,053	11,688
სულ ხელფასები და ბონუსები	291,873	276,398

13. უცხოური ვალუტის რისკი

უცხოური ვალუტის რისკი არის რისკი, რომ სამართლიანი ღირებულება ან ფინანსური ინსტრუმენტების სამომავლო ფულადი ნაკადები იქნება არამყარი უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო. კომპანიის საფრთხე რისკის მიმართ უპირველესად უკავშირდება მის ფუნქციონირებას (წინასწარი გადახდები უცხოურ ვალუტაში) და ფინანსირების საქმიანობებს (სესხები და კრედიტები დენომინირებული უცხოურ ვალუტაში).

კომპანიის ტრანზაქციების უმეტესობა ხორციელდება ლარში. კომპანიის ნაღდი ფულის და საბანკო ბალანსები სრულად ლარშია დენომინირებული, აგრეთვე ლარშია დენომინირებული გასესხებული და ნასესხები თანხები.

14. საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი, როდესაც სამართლიანი ღირებულება ან ფინანსური ინსტრუმენტების სამომავლო ფულადი ნაკადები იქნება არამყარი საბაზრო საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო. კომპანიას არ ემუქრება მნიშვნელოვანი საპროცენტო განაკვეთის რისკი, რამდენადაც კომპანიის სესხები და ნასესხები თანხები არის ფიქსირებული, დადგენილი საპროცენტო განაკვეთით.

15. საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ან მყიდველთან დადებული ხელშეკრულების ერთი მხარე ვერ შეასრულებს ვალდებულებას და გამოიწვევს ფინანსური ზარალის დადგომას მეორე მხარისთვის.

კომპანიას რისკი ემუქრება თავისი ძირითადი საქმიანობისგან, რადგანაც კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის კლიენტებზე სხვადასხვა ტიპის სესხების გაცემა.

საკრედიტო რისკისგან თავის ასარიდებლად, კომპანიას აქვს საკრედიტო სახელმძღვანელო და კომპანიის ყველა სესხი გაიცემა ამ სახელმძღვანელოს მითითებების შესაბამისად, კომპანია აქტიურად აკონტროლებს სესხის გაცემის პროცესს.

კომპანია აგრეთვე გასცემს უზრუნველყოფილ სესხებს, ამგვარად ამცირებს კლიენტის გადამხდელუნარობის შემთხვევაში საკრედიტო რისკს.

საკრედიტო რისკის საფრთხე 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის შემდეგი:

	31.12.2020	31.12.2019
ფული და ფულის ექვივალენტები	231,610	114,334
კლიენტებზე გაცემული კრედიტები	2,675,055	2,836,928

16. ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ კომპანიამ ვერ შეძლოს თავის ვალდებულებების შესრულება.

კომპანიის პოლიტიკა გულისხმობს, აწარმოოს წინდახედული ლიკვიდურობის პოლიტიკა საკმარისი ნაღდი ფულის და საბანკო ნაშთის ფლობით (შენიშვნა 5), აგრეთვე ძლიერ ლიკვიდური აქტივების ფლობით ყველა საოპერაციო და სავალო მომსახურების გასაწევად, რაც უკავშირდება გადახდებს, როდესაც ისინი დაექვემდებარებიან გადახდას.

ქვემოთ მოცემული ცხრილი დეტალურად აღწერს კომპანიის ფინანსური დოკუმენტებით გათვალისწინებულ ნარჩენ დაფარვის ვადებს მისი არადერივატიული ფინანსური ვალდებულებებისათვის გადახდის შეთანხმებული პერიოდებით. ცხრილი შედგენილია ფინანსური ვალდებულებების ფულადი ნაკადების საფუძველზე უფრო ადრეულ თარიღზე დაყრდნობით, როდესაც კომპანიას მოეთხოვება გადახდა.

31.12.2019	1 წლამდე	1-დან-5 წლამდე	5 წელს ზემოთ	სულ
ფინანსური აქტივები				
კლიენტებზე გაცემული სესხები	2,348,621	488,307	-	2,836,928
სულ სარგებლიანი ფინანსური აქტივები	2,348,621	488,307	-	2,836,928
ფული და ფულის ექვივალენტები	92,285	-	22,049	114,334
სულ ფინანსური აქტივები	2,440,906	488,307	22,049	2,951,262
ფინანსური ვალდებულებები				
ნასესხები სახსრები	-	111,753	1,891,886	2,003,639
სულ სარგებლიანი ფინანსური ვალდებულებები	-	111,753	1,891,886	2,003,639
სხვა ვალდებულებები	25,517	-	-	25,517
სულ ფინანსური ვალდებულებები	25,517	111,753	1,891,886	2,029,156
ლიკვიდურობის გარღვევა	2,415,389	376,554	(1,869,838)	922,105

სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „მაიკრო ფინი“
 შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებებზე 2020 წლის 31 დეკემბერი
 თანხები მოცემულია ლარში

31.12.20	1 წლამდე	1-დან-5 წლამდე	5 წელს ზემოთ	სულ
ფინანსური აქტივები				
კლიენტებზე გაცემული სესხები	1,121,548	1,553,507	-	2,675,055
სულ სარგებლიანი ფინანსური აქტივები	1,121,548	1,553,507	-	2,675,055
ფული და ფულის ექვივალენტები	208,898	-	22,712	231,610
სულ ფინანსური აქტივები	1,330,446	1,553,507	22,712	2,906,665
ფინანსური ვალდებულებები				
ნასესხები სახსრები	-	11,710	1,884,918	1,896,628
სულ სარგებლიანი ფინანსური ვალდებულებები	-	11,710	1,884,918	1,896,628
სხვა ვალდებულებები	23,239	-	-	23,239
სულ ფინანსური ვალდებულებები	23,239	11,710	1,884,918	1,919,867
ლიკვიდურობის გარღვევა	1,307,207	1,541,797	(1,862,206)	986,798

17. კაპიტალის მართვა

კომპანიის კაპიტალის სტრუქტურა შედგება კაპიტალისგან, რომელიც მოიცავს გამოცემულ კაპიტალს, გაუნაწილებელ მოგებას. საერთო რეზერვს და გაცემულ დივიდენდს.

მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ვალდებულია 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აკმაყოფილებდეს ფულადი სახსრებით შევსებულ 500,000 ლარიან კაპიტალს. კაპიტალი უნდა გაიზარდოს 1,000,000 ლარამდე 2019 წლის 30 ივნისამდე. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის კაპიტალი შეადგენს: 1,040,000 ლარს. ამდენად მარეგულირებლის ეს მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

18. დაკავშირებული მხარეები

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია IAS 24-ით „შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ“, წარმოადგენს :

- მხარეები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად ,ერთი ან მეტი შუამავალის მეშვეობით: აკონტროლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და თანამზრახველები); ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;
- პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივ საწარმო.
- ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;
- კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.
- ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია (ა) ან (დ)-ში;

(ფ) მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდუალებს.

(გ) დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

შემდგომი ოპერაციები განხორციელდა დაკავშირებულ მხარეებთან:

დაკავშირებული პირისგან მიღებული სესხის ნაშთები:

2020	კავშირი	თანხის მოცულობა	ვალუტა
საპროცენტო ხარჯები	საერთო მმართველობის ქვეშ	373,888	ლარი
	მყოფი ერთეულები		
მიღებული სესხი	საერთო მმართველობის ქვეშ	1,896,628	ლარი
	მყოფი ერთეულები		
2019	კავშირი	თანხის მოცულობა	ვალუტა
საპროცენტო ხარჯები	საერთო მმართველობის ქვეშ	422,854	ლარი
	მყოფი ერთეულები		
მიღებული სესხი	საერთო მმართველობის ქვეშ	2,003,639	ლარი
	მყოფი ერთეულები		

მენეჯმენტზე გაცემული ხელფასები:

	2020	2019
ხელფასები და სხვა თანამშრომელთა მოკლევადიანი სარგებელი	101,009	101,846
სულ	101,009	101,846

19. სახელშეკრულებო და პირობითი ვალდებულებები

კომპანიას აქვს განსაზღვრული საგადასახადო ვალდებულებები, საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხშირი ცვლილებებით, ოფიციალური განმარტებებით და სასამართლო გადაწყვეტილებებით ხასიათდება, რაც ხანდახან საკმარისად ნათელი არ არის და სხვადასხვა განმარტებებს ექვემდებარება. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევისათვის, საგადასახადო ორგანოს არ შეუძლია რაიმე ვალდებულების დაკისრება დამატებითი გადასახადების, ჯარიმის ან პირგასამტეხლოს გადასახდელად, თუ იმ წლის დასასრულიდან, როდესაც დარღვევა მოხდა, ექვსი წელია გასული. ასეთი გარემოებები, რომლებსაც საქართველოში საგადასახადო რისკებისკენ მივყავართ, არის უფრო მაღალი, ვიდრე სხვა ქვეყნებში. ყველა შესაძლო საგადასახადო პირობითი ვალდებულება ინახება და აღინუსხება კომპანიის მიერ სათანადოდ. კომპანია ექვემდებარება სამართლებრივ სარჩელებს და საჩივრებს.

20. საქმიანობის უწყვეტობა

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაცვით. ბუღალტრული აღრიცხვის ამ პრინციპის გამოყენება შესაფერისია თუ ხელმძღვანელობას არ აქვს განზრახული კომპანიის ლიკვიდაცია ან ოპერაციების შეწყვეტა, ან არ აქვს ასე მოქცევის რეალური ალტერნატივა. ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ფარგლებში, ჩვენ დავასკვნით, რომ ამ ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენება არის შესაფერისი.

ხელმძღვანელობას არ მოუხდენია ისეთი არსებითი გაურკვევლობის იდენტიფიცირება, რაც წარმოქმნიდა მნიშვნელოვან ეჭვებს, რომ კომპანია ვერ შეძლებდა ყოფილიყო ფუნქციონირებადი საწარმო.

21. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ 2021 წლის 29 აპრილს. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ დასკვნის გაშვებამდე სხვა მნიშვნელოვანი მოვლენები რომელსაც მნიშვნელოვანი ზეგავლენა ექნებოდა პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაზე, არ დაფიქსირებულა.

სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „მაიკრო ფინი“

მმართველობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის და

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა

მმართველობის ანგარიშგება მფლობელებს და ხელმძღვანელობას:

ჩვენი ვალდებულებაა, ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან და ამავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებთან შესაბამისობის თაობაზე.

აუდიტის განხორციელების პროცესში სუბიექტის შესახებ მიღებული ინფორმაციის გათვალისწინებით ჩვენ განვსაზღვრავთ არსებით უზუსტობებს და საჭიროების შემთხვევაში მივუთითებთ მათ არსს.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება მოქმედ მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

მოსაზრების საფუძველი

ჩვენმა კომპანიამ ჩაატარა სს „მაიკრო ფინის“-ს თანმხლები 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მმართველობის ანგარიშგების შემოწმება. სს „მაიკრო ფინი“-ს მენეჯმენტი სრულად პასუხისმგებელია კომპანიის მმართველობის ანგარიშგების მომზადებაზე საქართველოს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ კანონის შესაბამისად.

სს „ფი ქეი ეფ კაიზენმა“ ჩაატარა შემოწმება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

აღნიშნული კანონის შესაბამისად საჭიროა კომპანიის მმართველობის ანგარიშგების აუდიტის დაგეგმვა და შესრულება გონივრული გარანტიების მისაღებად, თუ რამდენად შეესაბამება კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოთხოვნილ სტანდარტებს, ფინანსურ ანგარიშგებას, აუდიტის შედეგებს, მთლიანობაში რამდენად სათანადოდ ასახავს კომპანიის პოზიციას და წარმოაჩენს მომავალი განვითარების შესაძლებლობებსა და რისკებს.

ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ შესაბამისად. გარდა ამისა, შევასრულეთ აღნიშნული კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. ჩვენ ვთვლით, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

გარიგების პარტნიორი

დავით გვეტაძე



სს „ფი ქეი ეფ კაიზენი“

29 აპრილი, 2021 წელი

საქმიანობის მიმოხილვა

ისტორია:

სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია მაიკრო ფინი დაარსდა 2014 წლის ნოემბერში. 2015 წლის 27 იანვარს დარეგისტრირდა, როგორც მიკროსაფინანსო ორგანიზაცია და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ექვემდებარება არასაბანკო დაწესებულებათა ზედამხედველობას. სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია მაიკრო ფინი არის საქართველოს მიკროსაფინანსო ასოციაციის და საერთაშორისო ორგანიზაცია MFC-ის წევრი.

სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია მაიკრო ფინის აქციების 90%-ს ფლობდა სს "კონსტანტა", რომელიც წარმოადგენს იურიდიულად რეგისტრირებულ კომერციულ სუბიექტს, ხოლო ფონდი „კონსტანტა“, არაკომერციული იურიდიული პირი, აქციების 10% -ის მფლობელი იყო. 2018 წლის 15 აგვისტოს აქციონერთ კრების გადაწყვეტილებით, საწესდებო კაპიტალი გაიზარდა 540 000 ლარამდე. საზოგადოების მიერ საწესდებო კაპიტალის შევსების მიზნით გამოშვებული იქნა 225 000 ცალი პრივილეგირებული აქცია 1 (ერთი) ლარის ნომინალური ღირებულებით და 65 000 ცალი ჩვეულებრივი აქცია 1 (ერთი) ლარის ნომინალური ღირებულებით. 2019 წლის 24 ივნისის აქციონერთა კრების გადაწყვეტილებით, კაპიტალი გაიზარდა 1 040 000 ლარამდე. გამოშვებული იქნა 500 000 პრივილეგირებული აქცია 1 (ერთი) ლარის ნომინალური ღირებულებით. ამ ეტაპზე სს „კონსტანტა“ ფლობს საზოგადოების 290 000 ცალ ჩვეულებრივ აქციას, რაც შეადგენს საზოგადოების მიერ გამოშვებულ ჩვეულებრივ აქციათა 92.06%-ს, ააიპ „ფონდი კონსტანტა“ ფლობს საზოგადოების 25 000 ჩვეულებრივ აქციას, რაც შეადგენს საზოგადოების მიერ გამოშვებულ ჩვეულებრივ აქციათა საერთო რაოდენობის 7,94%-ს და 725 000 პრივილეგირებულ აქციას, რაც შეადგენს საზოგადოების მიერ გამოშვებული პრივილეგირებული აქციების 100%-ს.

აუცილებელი ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

2015, 2016 წლები კომპანიამ დაასრულა ზარალით, შესაბამისად 83 751 (დაფუძნების თარიღიდან, 2014 წლის 17 ნოემბრიდან, 2015 წლის 31 დეკემბრამდე) ლარის და 78 706 ლარის ოდენობით. 2017 წლის პერიოდის მოგებამ შეადგინა 64 134 ლარი. რაც გამოწვეულია საკრედიტო პორტფელის ხარისხის ზრდით. 2017 წელს, წინა წელთან შედარებით, საკრედიტო პორტფელი 35%-ით გაიზარდა, ხოლო 2018 წელს 14%-მდე ზრდა დაფიქსირდა. მოგებამ 2018 წელს შეადგინა 94 336 ლარი, 2019 წელს წმინდა მოგება 6,208 ლარი დაფიქსირდა. 2020 წელს კომპანიას მოგება არ ჰქონია.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის განთავსებული კაპიტალი შეადგენდა 1040 000 ლარს.

2020 წელს, კომპანია წინა წლის მსგავსად, ისევ ერთ ლოკაციაზე ოპერირებს და უახლოეს მომავალში არ გეგმავს დამატებითი ფილიალების გახსნას.

კომპანია თავის საქმიანობაში ოპერატიულად ნერგავს დარგის საკანონმდებლო სივრცეში მიმდინარე ცვლილებებს, რისი გათვალისწინებითაც, წინა წლებში შემუშავებულ სამომავლო გეგმაში 2019-2020 წელს შეიტანა ცვლილებები. ასევე ცვლილებებს გეგმავს 2021 წლის გეგმაში, არსებული სიტუაციის (COVID 19 -ის პანდემიის) გათვალისწინებით.

მმართველობა:

სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია მაიკრო ფინის საქმიანობა კონტროლდება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ, რომლის წევრებსაც აქვთ უდიდესი გამოცდილება და კვალიფიკაცია მართვის სფეროში, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს ორგანიზაციის ეფექტურ მართვას.

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე - თამარ ლებანიძე, სამეთვალყურეო საბჭოს წევრი - ლევან ლებანიძე, სამეთვალყურეო საბჭოს წევრი - ზვიად მირიანაშვილი. კომპანიის მენეჯმენტი: კომპანიის დირექტორი - ლელა კიკნაძე, საკრედიტო ჯგუფის უფროსი - დავით ხიზანიშვილი.

ფინანსური ბაზრის მიმოხილვა:

ფინანსური სექტორი საქართველოში განვითარებული და მზარდი სექტორია. თუმცა 2016-2017 და განსაკუთრებით 2018 წლებში, ძალაში შესულმა კანონმდებლობამ, გამკაცრებულმა არასაბანკო ზედამხედველობამ და მომხმარებელთა უფლებების დაცვის მიზნით შემუშავებულმა რეგულაციებმა მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ნაწილი რთული გამოწვევების წინაშე დააყენა და შედეგად, ბოლო პერიოდის ტენდენციით მიკროსაფინანსო ორგანიზაციების რაოდენობა მცირდება. 2018 წლის ბოლოს მიკროსაფინანსო ორგანიზაციების რაოდენობა 67-მდე შემცირდა, 2019 წლის ბოლოსთვის - 48-მდე, ხოლო 2020 წელს-39-მდე.

წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები

კომპანიის კაპიტალდაბანდებებთან დაკავშირებით ნაკისრი ვალდებულებები 2020 წლის 31 დეკემბრისათვის:

სააქციო კაპიტალი 1 040 000 ლარი

მიღებული სესხები და პრივილეგირებული აქციები:

დასახელება	ბალანსი 31.12.2020	ბალანსი 31.12.2019
სესხის დარჩენილი ძირი იურიდიული პირი	1 820 000 GEL	1 820 000 GEL
პრივილეგირებული აქციების მოცულობა	725 000 GEL	725 000 GEL
სესხის დარჩენილი ძირი ფიზიკური პირი პირი	0 GEL	100 000 GEL

დარგის საკანონმდებლო ცვლილებები

ბოლო წლების განმავლობაში არასაბანკო სექტორის რეგულირებისა და ზედამხედველობის მიმართულებით საკანონმდებლო ბაზაში განხორციელებულა ძირეული ცვლილებები. საკანონმდებლო ცვლილებები შეეხო როგორც რეგულირებად სექტორს, ისე ბაზრის იმ სეგმენტებს, რომლებიც წლების განმავლობაში რეგულირების გარეშე ეწეოდნენ საფინანსო საქმიანობას. აღნიშნული, ფინანსურ სტაბილურობასთან ერთად, მომხმარებელთა უფლებების დაცვის უზრუნველყოფას, შეთავაზებული მომსახურების ხელმისაწვდომობასა და უსაფრთხოებას შეუწყობს ხელს. „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, 2018 წელს დამტკიცდა „სესხის გამცემი სუბიექტის საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის, რეგისტრაციის გაუქმებისა და რეგულირების წესი“, რომლის საფუძველზეც, 2019 წლიდან, ზედამხედველობას დაექვემდებარა ყველა სუბიექტი, რომელთა მიმართაც 20-ზე მეტ ფიზიკურ პირს სასესხო/საკრედიტო ვალდებულება გააჩნდა. სესხის გამცემ სუბიექტებს, როგორც საფინანსო სექტორის წარმომადგენლებს, სხვა სარეგისტრაციო მოთხოვნებთან ერთად, განესაზღვრათ ადმინისტრატორთა და მნიშვნელოვანი წილის მფლობელთა შესაფერისობის კრიტერიუმების დაკმაყოფილება. 2019 წელს, შესაბამის ნორმატიულ აქტებში შეტანილი ცვლილებების თანახმად, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს და სესხის გამცემ

სუბიექტებს, გაცემული სესხის უზრუნველსაყოფად მიღებული ქონების, მის მიერ აღებული ნებისმიერი სახის ვალდებულების უზრუნველყოფის საგნად გამოყენება აეკრძალათ. 2019 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა „ფიზიკური პირის დაკრედიტების შესახებ დებულება“, რომლის მოთხოვნების დაცვის ვალდებულება არასაბანკო სექტორის ყველა სესხის გამცემ ორგანიზაციასაც დაეკისრა, რაც ხელს შეუწყობს ამ სექტორში პასუხისმგებლიანი დაკრედიტების სტანდარტის დამკვიდრებას. გაუმჯობესდა ანგარიშგების სტანდარტები, დისტანციური ზედამხედველობის პროცესები.

2017 წლის 23 დეკემბერს ხელი მოეწერა საქართველოს კანონს, „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, რომლითაც სხვა ცვლილებებთან ერთად, გაიზარდა მიკროსაფინანსო ორგანიზაციებში კაპიტალის სავალდებულო მინიმალური ოდენობა 1 მილიონ ლარამდე.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 5 ივლისის №143/04 ბრძანებით განისაზღვრა საზედამხედველო კაპიტალის შევსების წესი. მიკროსაფინანსო ორგანიზაციები ვალდებული არიან საზედამხედველო კაპიტალის მინიმალური ოდენობა შეავსონ 2019 წლის 1 ივლისამდე შემდეგი თანმიმდევრობით:

ა) არანაკლებ 500,000 ლარისა 2018 წლის 1 სექტემბრამდე;

ბ) არანაკლებ 1,000,000 ლარისა 2019 წლის 1 ივლისამდე;

ამავე ბრძანებით განისაზღვრა ეკონომიკური ნორმატივები და ლიმიტები, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია. ესენია: ა) კკ (კაპიტალის კოეფიციენტი); ბ) ლკ – (ლიკვიდობის კოეფიციენტი); გ) იკ (ინვესტიციების კოეფიციენტი); დ) ქკ (ქონებრივი ინვესტიციის კოეფიციენტი); ე) ისკ (ინსაიდერების საკრედიტო კოეფიციენტი); ვ) დაკ (დაგირავებული აქტივების კოეფიციენტი).

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 5 ივლისის №142/04 ბრძანებით განისაზღვრა აქტივების კლასიფიკაციისა და შესაძლო დანაკარგების რეზერვების ფორმირების წესი. ამავე წლის 1 სექტემბრიდან ასევე ძალაში შევიდა 2018 წლის 27 აგვისტოს ბრძანება #194/04 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 625-ე მუხლის მიზნებისთვის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განმარტების შესახებ მიმდინარე ნარჩენი ძირითადი თანხის გამოთვლის, საკომისიოს, ფინანსური ხარჯის, პირგასამტეხლოს ან/და ნებისმიერი ფორმის ფინანსური სანქციის გათვალისწინების წესის თაობაზე, რითაც სხვა პარამეტრებთან ერთად განისაზღვრა ეფექტური საპროცენტო განაკვეთი და 100%-დან შემცირდა 50%-მდე. აღნიშნული შეზღუდვის გამო ორგანიზაციამ შეაჩერა სამომხმარებლო სესხის პროდუქტი, შეამცირა საპროცენტო და საკომისიო განაკვეთები, რაც ასევე დაარეგულირა შესაბამისი დოკუმენტებით და ასახა პროგრამულად.

2018 წლის ბოლოს, მრავალი ვერსიის და ხანგრძლივი განხილვის შემდგომ, დამტკიცდა დებულება ფიზიკური პირის დაკრედიტების შესახებ, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 24 დეკემბრის №281/04 ბრძანების საფუძველზე, რომელმაც ძირეულად შეცვალა დაკრედიტების როგორც პოლიტიკა, ასევე დაკრედიტების პროცესი, როგორც მსესხებლებისთვის, ასევე უზრუნველყოფის მიმწოდებლებისთვის.

გარდა ზემოაღნიშნულისა, საქართველოს საგადასახადო კოდექსის გარდამავალ დებულებებში შესული ცვლილებით: ბანკების, საკრედიტო კავშირების, სადაზღვევო ორგანიზაციების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების და ლომბარდების, მოგების გადასახადით დაბეგვრის არსებული ნორმების შენარჩუნებასთან დაკავშირებით. კერძოდ, აღნიშნული გადასახადის გადამხდელები მოგების გადასახადით დაბეგვრის ე.წ. „კლასიკურ მოდელს“ შეინარჩუნებენ 2023 წლის 1 იანვრამდე, ნაცვლად დაანონსებული 2019 წლის 1 იანვრისა. შესაბამისად, მათთვის მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი 2023 წლის 1 იანვრამდე კვლავ იქნება სხვაობა კალენდარული წლის განმავლობაში მიღებულ ერთობლივ შემოსავალსა და კოდექსით გათვალისწინებული გამოქვითვების თანხებს შორის.

2020 წელს ამოქმედდა სხვა ცვლილებებიც: საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის ბრძანება N2, 2020 წლის 5 ივნისი(ცვლილება 2020 17/08: 2020 16/10)ანგარიშვალდებული პირის მიერ კლიენტის იდენტიფიკაციისა და ვერიფიკაციის წესის დამტკიცების თაობაზე, რამაც უფრო ნათელი გახადა კლიენტის იდენტიფიკაციისა და ვერიფიკაციის წესი.

„ფიზიკური პირის დაკრედიტების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე"საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 13 მარტის N44/04 ბრძანება (ამოქმედების თარიღი 2020 წლის 15 აპრილი) ;დანართი1;დანართი2;

აღნიშნული ცვლილების შეტანა ძირითადად ემსახურებოდა, ქვეყანაში არსებული პანდემიის პირობებში, საფინანსო სექტორისთვის დაკრედიტების პროცესში უფრო მეტი მობილობის მიცემის შესაძლებლობას;

„NBFი დისტანციური ზედამხედველობის პორტალის გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 13 აპრილის N69/04 ბრძანება;

„მიკროსაფინანსო ორგანიზაციისა და მისი ადმინისტრატორების მიმართ ფულადი ჯარიმების ოდენობის განსაზღვრის, დაკისრებისა და აღსრულების წესის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 5 თებერვლის N16/04 ბრძანება;

საქმიანობის მიმოხილვა:

სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია მაიკრო ფინის ამოცანას წარმოადგენს მიკრო, ასევე მცირე ბიზნესების მხარდაჭერა და განვითარება საქართველოში, მომხმარებლების სოციალური და ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება, მათთვის ხელმისაწვდომი ფინანსური რესურსის შეთავაზების გზით.

ძირითად საქმიანობას წარმოადგენს მიკრო სესხების გაცემა. კომპანიის ფინანსურ პროდუქტს წარმოადგენს ინდივიდუალური ბიზნეს სესხი.

ორგანიზაციას ჩამოყალიბებული აქვს კორპორატიულ სტრატეგიები:

1. კლიენტებისათვის სწრაფი და კვალიფიციურ მომსახურების შეთავაზება და მათთვის დაბალი ტრანზაქციული ხარჯების უზრუნველყოფა;
2. მაღალი ეფექტურობისა და პროდუქტიულობის მიღწევა;
3. მაღალი ხარისხის საკრედიტო პორტფელის შენარჩუნება;

სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია მაიკრო ფინი ოპერირებს თბილისის მასშტაბით, კონკურენტული სერვისის შეთავაზების მიზნით, ფუნქციონირებს ფილიალების გარეშე, აქვს ცენტრალური ოფისი, რომელიც ამავდროულად ერთადერთ ფილიალსაც წარმოადგენს. ცენტრალური ოფისი მდებარეობს მისამართზე ქ.თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 154. ორგანიზაცია კლიენტებს დაკრედიტებას მათ სამუშაო ადგილებზე სთავაზობს, ოფისში მისვლისა და დამატებითი ბიუროკრატიული საკითხების მოგვარებაზე დროის დაკარგვის გარეშე. ტრანზაქციის (განაცხადის მიღებიდან სესხის გაცემამდე პერიოდი) მაქსიმალური ვადაა 1 სამუშაო დღე. კლიენტები სესხის თანხას კომპანიის პლასტიკური ბარათების მეშვეობით იღებენ. მუშაობის ზემოაღნიშნული პრინციპი კომპანიას საშუალებას აძლევს იყოს პოტენციური კლიენტითვის ერთნაირად მიმზიდველი მისი ბიზნესის მასშტაბისა თუ საქმიანობის სფეროს მიუხედავად; რამეთუ იძლევა სწრაფი, ეფექტური და შედარებით ადვილად ხელმისაწვდომი ფინანსური რესურსის მიღების შესაძლებლობას.

ეფექტური და სტანდარტების შესაბამისი ფუნქციონირებისთვის, სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია მაიკრო ფინი იყენებს კომპანია ალტა სოფთვეარის საკმაოდ დახვეწილ პროგრამულ უზრუნველყოფას, რაც საოპერაციო რისკების მინიმუმადე დაყვანის, სრულფასოვანი რეპორტირებისა თუ სხვადასხვა ცვლილებების მარტივად და ოპერატიულად ინტეგრირების საშუალებას იძლევა.

სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია მაიკრო ფინის სამართლებრივად გამართულ ფუნქციონირებას უზრუნველყოფს საქართველოში მოქმედი იურიდიული კომპანია, ხოლო ბუღალტრულ მომსახურებას უწევს საფინანსო სფეროში დიდი გამოცდილების მქონე, მაღალკვალიფიციური ბუღალტერი.

ორგანიზაციის სტაბილური ფუნქციონირების საფუძველს, ფინანსურ მდგრადობასთან ერთად, გუნდური სულისკვეთება წარმოადგენს, რაც როგორც ახალგაზრდა, მოტივირებული კადრების მოზიდვით. ასევე კომპანიაში უკვე დასაქმებულთა კვალიფიკაციის მუდმივი ამაღლებით მიიღწევა. კომპანიაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა თანამშრომელთა

პროფესიულ გადამზადებას და ეფექტური სამუშაო გარემოს შექმნას. გუნდის მოტივაციის ამაღლების მიზნით, მოქმედებს საბონუსო სისტემა. თანამშრომლები უზრუნველყოფილნი არიან ჯანმრთელობის დაზღვევის მომსახურებით (სრული დაფინანსება).

სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია მაიკრო ფინის მიერ გატარებულმა პოლიტიკამ და სტრატეგიამ, მიუხედავად 2020 წელს არსებული სიტუაციისა (პანდემია და მისგან გამოწვეული შეზღუდვები) კომპანიის სტაბილურად ფუნქციონირების ტენდენცია განაპირობებს, რაც საკრედიტო პორტფელის ხარისხის მაჩვენებლებში გამოიხატება. 2020 წელს, კომპანიის აღნიშნული მაჩვენებელი შესაბამისობაში იყო დაგეგმილ და ზოგადად მიკროსაფინანსო სექტორში დაფიქსირებულ საჯარო შედეგებთან მიმართებაში. საკანონმდებლო ცვლილებების, ქვეყანაში არსებული გარემოსა და სხვადასხვა უარყოფითი მოვლენების მიუხედავად, ოპერატიული და ადეკვატური გადაწყვეტილებების ხარჯზე, კომპანიამ შეძლო საკრედიტო პორტფელთან დაკავშირებული მინიმალური რისკების სტაბილურ დონეზე შენარჩუნება.

საკრედიტო და საოპერაციო რისკების დაბალ მაჩვენებელს, ერთის მხრივ, განაპირობებს კომპანიაში არსებული შიდა აუდიტის სამსახურის გამართული ფუნქციონირება, ხოლო მეორე მხრივ მენეჯმენტის მიერ ამ მიმართულებით განხორციელებული სისტემატური კონტროლი.

კომპანიას შემუშავებული აქვს დარეზერვების პოლიტიკა, 2020 წელს პანდემიისგან გამოწვეული შეზღუდვების გამო ეროვნული ბანკის რეკომენდაციით შეიქმნა დამატებითი რეზერვები, რამაც თავის მხრივ დააზღვია შესაძლო დანაკარგები და ფინანსური მდგომარეობის ობიექტურად ასახვის შესაძლებლობას მოგვცა.

მომავალი განვითარების გეგმა:

საშუალოვადიან პერსპექტივაში საკუთარ თავს ვხედავთ, როგორც მიკროსაფინანსო ბაზარზე მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესისათვის ერთ-ერთი საინტერესო და მოთხოვნად არჩევანს. ჩვენი ხედვით - საშუალოვადიან პერსპექტივაში, ს.ს. მიკროსაფინანსო ორგანიზაცია მაიკრო ფინი იქნება ფინანსური ინსტიტუტი, რომელიც მეწარმეებს საკრედიტო პროდუქტებს შესთავაზებს ამჟამად არსებული კონცეფციისა და ბოლო პერიოდში ძალაში შესული საკანონმდებლო ცვლილებებით გამოწვეული მოთხოვნების გათვალისწინების პირობებში.

კომპანიის თანამშრომლების ეფექტურობის გაზრდისა და გუნდური სულისკვეთების ამაღლების მიზნით, დაგეგმილია სხვადასხვა სახის ტრენინგები და თანამშრომელთა არასამსახურეობრივი შეკრებები არსებული ეპიდვითარების გათვალისწინებით.

ცნობადობისა და სანდოობის ამადლების მიზნით, ხორციელდება გეგმაზომიერი აქტივობები, როგორც ინტერნეტ სივრცეში, ასევე სხვა მიმართულებით.

რისკები:

სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია მაიკრო ფინის მენეჯმენტი აცნობიერებს შესაძლო ძირითად რისკებს, როგორცაა საბაზრო, საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკი. პრევენციის მიზნით, სამეთვალყურეო საბჭოს მიერ ხორციელდება რისკების რეგულარული მონიტორინგი საქმიანობის სფეროების ჭრილში.

სავალუტო რისკის წინაშე კომპანია არ დგას, რადგან აღებული და გაცემული სესხები უცხოურ ვალუტაში არ გააჩნია.

საკრედიტო რისკი

ორგანიზაციას გააჩნია საკრედიტო რისკი, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ ფინანსურ ინსტრუმენტთან დაკავშირებული რომელიმე მხარემ შეიძლება ვერ შეძლოს დაკისრებული ვალდებულების შესრულება, რის შედეგადაც მეორე მხარეს მიაღება ფინანსური ზარალი.

კომპანიას შემუშავებული აქვს საკრედიტო პოლიტიკა და პროცედურები, რომლითაც ხდება საკრედიტო რისკების მართვა. კლიენტის სასესხო განაცხდს განიხილავს საკრედიტო კომიტეტი, რომელიც განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით (კლიენტის საკრედიტო ისტორია, ფინანსური მდგომარეობა და ა.შ.) საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს. კლიენტის ბიზნესის მონიტორინგის საფუძველზე, მისი ბიზნესის გადახდისუნარიანობის ანალიზი, ფინანსური ზარალის რისკის თავიდან დროულად აცილების საშუალებას იძლევა. შიდა აუდიტის მიერ ხორციელდება მონიტორინგების საფუძველზე მიღებული ინფორმაციის კონსოლიდირება და კვარტალში ერთხელ სამეთვალყურეო საბჭოსთვის წარდგენა.

ამავე ორგანოს მოთხოვნით და მისივე კონტროლის ქვეშ ხორციელდება პერიოდული მონიტორინგი პორტფელის კონცენტრაციასთან მიმართებაში, დაფინანსებული მსესხებლების საქმიანობებისა და გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი ზოგადად შეიძლება განსაზღვრულ იქნეს, როგორც აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის შეუსაბამობა. ქვეყანაში განვითარებული მოვლენებიდან (პანდემია) გამომდინარე და ასევე იმის გათვალისწინებით, რომ შექმნილმა ვითარებამ

კლიენტთა ფინანსური მდგომარეობის გაუარესება გამოიწვია, კომპანიამ გამოიჩინა ლოალობა და პანდემიის „პირველი ტალღის“ დროს არსებული პორტფელის 98%-ის გადახდის გადავადება 3 თვით მოახდინა. აღნიშნულის საჭიროება პანდემიის „მეორე ტალღის“ პერიოდში კვლავ გახდა 2020 წლის დეკემბერში, რა დროსაც სესხის გადახდის გადავადება კომპანიამ ამჯერად უკვე ისეთ კლიენტებთან მიმართებაში მოახდინა, რომელსაც არსებული რეგულაციების მიხედვით ფუნქციონირების უფლება შეზღუდული ჰქონდათ (პორტფელის 61%). პანდემიის აქტიური ფაზის (პირველი და მეორე ტალღა) პერიოდში კომპანიას მოუწია სამუშაო პროცესის გადაწყობა დისტანციურ მუშაობაზე. ყოველივე ზემოაღნიშნულმა, კომპანიას გაუზარდა ლიკვიდურობის რისკი, რის დასაბალანსებლად და საოპერაციო საქმიანობის შეუფერხებლად გაგრძელების უზრუნველსაყოფად, მენეჯმენტი აქტიურ რეჟიმში მუშაობს თანხების მოძიების მიმართულებით როგორც ადგილობრივ, ასევე უცხოურ დონორებთან.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკებიდან კომპანიისათვის ყველაზე მნიშვნელოვანია საპროცენტო განაკვეთის რისკი. 2018 წლის 1 სექტემბრიდან ძალაში შევიდა ცვლილება საქართველოს სამოქალაქო კოდექსში, რომლის მიხედვითაც, გაცემულ სესხებზე წლიური ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ჭერი 50%-ით განისაზღვრა. ამ ცვლილებას კომპანიაზე მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია, რადგან მის მიერ გაცემული სესხების ეფექტური საპროცენტო განაკვეთი 50%-ის ფარგლებში იყო.

არსებით განუსაზღვრელობას წარმოშობს განვითარებული მოვლენები (პანდემია), რომლის ფონზეც ორგანიზაციას მოუწია დისტანციური მუშაობა 2020 მარტიდან 2020 წლის დეკემბრიდან. ამ პერიოდებში შეზღუდული იყოს კლიენტების დაფინანსება. მოხდა კლიენტებისთვის სესხების გადახდის გადავადება 3 თვით, რაც თავის მხრივ დიდ გავლენას მოახდენს კომპანიის შემოსავალზე. აქედან გამომდინარე ზემოაღნიშნული ფაქტორის სამომავლო გავლენის საიმედოდ შეფასება კომპანიაზე ამ მომენტისათვის რთულია. აღნიშნული ფაქტორი არსებით გავლენას მოახდენს, როგორც ს.ს. მიკროსაფინანსო ორგანიზაცია მაიკრო ფინის საოპერაციო საქმიანობაზე, ასევე მის მასშტაბზე.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია მაიკრო ფინი აკმაყოფილებდა ყველა საკანონმდებლო მოთხოვნას.

სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „მაიკრო ფინი“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თანხები მოცემულია ლარში

შენიშვნები		2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები		7,176	10,732
არამატერიალური აქტივები		9,208	10,833
სულ გრძელვადიანი აქტივები		16,383	21,565
მიმდინარე აქტივები			
გადავადებული საგადასახადო აქტივები		-	-
წმინდა გაცემული სესხები	6	2,675,056	2,836,928
ფული და ფულის ექვივალენტები	5	231,610	114,334
სხვა აქტივები	7	40,168	86,876
სულ მიმდინარე აქტივები		2,946,834	3,038,138
სულ აქტივები		2,963,218	3,059,703
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	8	1,040,000	1,040,000
გაუნაწილებელი მოგება/(დაგროვილი ზარალი)		-	3,433
აქტივების გადაფასების რეზერვი		-	-
სულ კაპიტალი		1,040,000	1,043,433
ვალდებულებები			
მიმდინარე ვალდებულებები			
სესხები დაკავშირებული მხარისგან	9	1,896,628	1,990,753
გადასახდელი გადასახადები		3,351	-
სხვა ვალდებულებები		23,239	25,517
სულ მიმდინარე ვალდებულებები		1,923,218	2,016,270
სულ ვალდებულებები		1,923,218	2,016,270
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		2,963,218	3,059,703

ხელმოწერილი პირები:

აღმასრულებელი დირექტორი

29 აპრილი, 2021

თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 8-28 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „მაიკრო ფინი“
სრული შემოსავლების ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თანხები მოცემულია ლარში

შენიშვნები	2020	2019
საპროცენტო შემოსავალი	10 1,004,996	1,027,777
მოსაკრებელი და საკომისიო შემოსავალი	714	1,581
სხვა შემოსავალი	7,516	
საპროცენტო ხარჯი	11 (375,160)	(424,175)
საერთო მოგება	638,067	605,183
საერთო ადმინისტრაციული ხარჯები	12 (235,861)	(279,453)
მიღებული ჯარიმები და საურავები	18,684	32,303
სესხის გაუფასურების ანარიცხი, წმინდა	6 (126,263)	(68,539)
ხელფასები და ბონუსები	13 (291,873)	(276,398)
საოპერაციო მოგება	2,754	13,096
მოგება დაბეგვრამდე	2,754	13,096
მოგების გადასახადის სარგებელი /(ხარჯი)	(6,188)	(6,888)
წლის წმინდა მოგება/(ზარალი)	(3,433)	6,208

ხელმოწერილი პირებით
აღმასრულებელი დირექტორი



29 აპრილი, 2021
თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 8-28 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „მაიკრო ფინი“
 კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 თანხები მოცემულია ლარში

შენიშვნები	სააქციო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
31 დეკემბერი, 2016	250,000	(161,245)	88,755
წლის მოგება	-	64,134	64,134
31 დეკემბერი, 2017	250,000	(97,111)	152,889
წლის მოგება	290,000	94,336	384,336
31 დეკემბერი, 2018	540,000	(2,775)	537,225
წლის მოგება	500,000	6,208	506,208
31 დეკემბერი, 2019	1,040,000	3,433	1,043,433
წლის მოგება	-	(3,433)	(3,433)
31 დეკემბერი, 2020	1,040,000	0	1,040,000

ხელმოწერი პირები:

აღმასრულებელი დირექტორი



29 აპრილი, 2021
 თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 8-28 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „მაიკრო ფინი“
 ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერი
 თანხები მოცემულია ლარში

	2020	2019
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობებიდან		
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე	2,754	13,096
ცვეთა და ამორტიზაცია	5,622	8,425
სესხის გაუფასურების ანარიცხის ცვლილება	126,263	68,539
მოგება-ზარალში აღიარებული მოგების გადასახადის ხარჯი/სარგებელი	(6,188)	(6,888)
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან კაპიტალში ცვლილებებამდე		
ზრდა/(შემცირება) კლიენტებზე გაცემულ სესხებში	35,608	12,292
(ზრდა)/შემცირება სხვა აქტივებში	46,708	(63,462)
ზრდა დარიცხულ/(შემცირება) საპროცენტო ხარჯში	-	-
(ზრდა)/შემცირება სხვა ვალდებულებებში	(2,278)	(4,831)
(შემცირება)/ზრდა გადასახდელ გადასახადებში	3,351	(10,569)
წმინდა ფულის შემოსვლა/(გასვლა) საოპერაციო საქმიანობიდან	211,842	16,602
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების შეძენა	(440)	(3,399)
ჩვეულებრივი და პრივილეგირებული აქციებით მიღებული თანხები		500,000
წმინდა ფული (გამოყენებული)/მოპოვებული საინვესტიციო საქმიანობიდან	(440)	496,601
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		
აღებული სესხი	688,986	806,406
გადახდილი სესხი	(783,112)	(1,267,797)
წმინდა ფულის (გასვლა)/შემოსვლა ფინანსური საქმიანობიდან	(94,125)	(461,391)
გაცვლითი კურსის ეფექტი ფულზე და ფულის ექვივალენტებზე		
წმინდა ფულის ზრდა	117,276	51,812
ფული და ფული ექვივალენტები წლის დასაწყისში	114,334	62,522
ფულადი საშუალებები და მისი ექვივალენტები წლის ბოლოს	231,610	114,334

ხელმოწერილი პირები:

აღმასრულებელი დირექტორი



29 აპრილი, 2021

თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 8-28 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.